



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., სასევერთო წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., სასევერთო წლით 4 მან., სსპი თვით 2 მან., თათი ნომერი—15 კაპ. ხელი-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлис. Редакция „КВАЛИ“.

ზინდარსი: მსწავლეები, ზ. ს.—ქსი.—სხვა-და-სხვა ამბები.—კარესზნდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ.—თამარა ქუჩუკაშვილის სსოფანს, ლექსი კ. მიქელაძის.—Sinito Parvulos, თარგ. კ. ვაფარაძის.—საშუალო შედეგი, თამარა კბ. ნინოშვილის.—წერილი კენკვიდან, ქართული ქალის.—ბირთვების და საზოგადოება, გრ. რაბაქიძის.—შაბრეშუშეთა საფურცლებით, ა. მარაშვილის.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტისი.—ფურცლები-გაზეთებიდან.—ქართული თეატრი.—წერილები რედ. მიმართ.—შეცდომის გასწორება.—„კვალის“ ფოსტა.—განცხადებანი.

რედაქციის სანახაობა

რედაქციამ საჭიროთ და შესაძლებლათ დანახა ამ ნომრიდან გაზეთის გადღებული ფორმატით გამოცემა. ტექსტს მოემატება დასწავლებით წინანდელი ფორმატის ექვს სვეტამდე ანუ სამ კვადრატამდე.

ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ამ უმათ «კვალი» № 1 აღარა გვაქვს. მალე ხელ-მეორეთ დაიბეჭდება და გაეგზავნებათ.

ცალკე ნომრების ფასის გამოგზავნა შეიძლება ფოსტის ძარკებით და არა ღერბისა.

„კვალის“ ცალკე ნომრები იყიდება **ჭუთისში** ე. ბეჟუნიშვილის და **ბათუმში** სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიებში.

თეატრული ნიკოლოზის ასული ქუჩუკაშვილი შეილითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 თებერვალს, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახლალ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მასწავლებელი ქალის

თეატრული ნიკოლოზის ასული ქუჩუკაშვილის სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება 9 1/2 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

განსჯალებელი *).

წინანდელ წერილში ჩვენ გავარკვეეთ, რომ სახალხო შკოლა შექმნა ბურჟუაზიულმა ებოქამ, რომ შკოლის განვითარება და სახალხო განათლების გავრცელება კვალ და კვალ მისდევს ბურჟუაზიის ზრდას. ხოლო ბურჟუაზიამაც თავის განვითარებაში გაიარა სხვა-და-სხვა ფაზა და სულ ყველა ამ ფაზებს თავისი გავლენა ქონდა შკოლაზე... ეს უკანასკნელი თანდათან ირკვეოდა და განსაზღვრულ გზას ადგებოდა და დღეს

საკმაოთ გამოიჩინა. სწავლების იმ ნაირათ მოწყობა, რომ ცოდნას მხოლოთ პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდეს, ხოლო თეორიულათ ის სუსტი და უსისტეო იყოს—აი, დღევანდელი შკოლის იდეალი.

დავუვლოთ ყური საფრანგეთის გამოჩენილ პედაგოგს რობენს. „საყოველთაო სრული განათლების აზრი ბევრს ძალიან აფრთხობს. იმათ ამ შემთხვევაში ვერ უარუყვიათ განათლების ჩვეულებრივი განაწილება: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. რა საჭიროაო, ამბობენ ისინი, ყველასათვის მცნირებულ თეორიების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოების ცოდნა? პრაქტიკულათ ესეთი ცოდნა უსარგებლოა და თეორიულათ კი ყველას რათ უნდაო?... ამიტომ ხშირათ შკოლის მიერ მიწოდებულ ცოდნა უვარგისი და უსაფუძვლოა. ეს უმეტესათ შეეხება კაცობრიობის ისტორიის და მისი განვითარების სხვა-და-სხვა მომენტების ახსნას. მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიას ქონდა ერთი ხანა, როცა იმის აღებ-მიცემობას არავითარი შიში არ მოელოდა სხვა ქვეყნებისაგან. მარა რაკი სხვა ქვეყნებშიც პრეწველობაში განვითარდენ, მათ ხელათ გამოიკვალეს აზრი: მაშინვე თავი შეაფარეს სადამოყნობაზე, პრემიებს და სხვა ისეთ ზომებს, რომელთა შემწევობით ხშირათ ამა თუ იმ ქვეყანაში დამუშავებული საქონელი შინაურ ბაზარზე უფრო ძვირი, ვიდრე საზღვარ-გარეთ გატანილი. ამ შეტოქვობას და მუდმივ ქაშობას თან დასდევს შოვინიზმი, გაზვიადებული „პატრიოტიზმი“ ზრდაც. არიან თავის ქვეყნის უზომო ქებაში და სხვის ძაგებაში, რომ აწაიროთ მატერიალურ ინტერესებზე აგებული ანტაგონიზმი გრძნობის და გონების სფერაშიაც გადატანონ და ხალხთა შორის ურთიერთ სიძულვილი გააძლიერონ. აწაიროთ, ხალხთა ისტორიის შესწავლა გამხდარა საკრთო სიძულვილის, ეროვნული ყოყჩობის გასაძლიერებელ იარაღათ. ხოლო ისტორიის ფრიად მნიშვნელოვან და ნათელ მომენტებს სრულიად არა აქვს სწავლებაში ადგილი.

და აი, ყველა ამის მქადაგებელი არის შკოლა. ნუ თუ ეს კარგი მოვლენაა? ნუ თუ სწავლა და განათლება სალხში უნდა ზრდიდეს ეროვნულ სიძულვილს? გილო ეუბნება თავის მოწაფებს: „ნუ გაარჩევთ ფრანგს, გერმანელს, ბელგიელს,

*) ეს წერილი შემოკლებული იქვლება. რედ.

იტალიელს: ყველა ხალხი ძმებია. ყოველ ქვეყანაში არის პატიოსანი ადამიანი. იმას ყოველთვის პატივს უნდა ვცემდეთ, მიუხედავად მისი მშობლიური ენისა. საფრანგეთშიც, როგორც სხვა ქვეყნებში, არიან უსიკეთესო ადამიანები—იმათ ჩვენ ზიზღით უნდა ვუყურებდეთ და ვერიდებოდეთ“. მარა ასეთ აზრს თქვენ იშვიათათ შეხვდებით, თავის ქებას და სხვის დაგებას კი ყოველგან. გარდა ამისა, ძველ დროში ყოველ კუთხეს შეეძლო თავისი ხასიათი შეერჩინა, რადგან მას არავინ არ ატანდა ძალას. თანამედროვე ბურჟუაზიული წესი კი ადგია გაერთიანების გზას... შკოლა ჩაყენებულია ერთ განსაზღვრულ კალაპოტში. მას გარკვეული მიზანი აქვს წინ, ხოლო მასწავლებლის საქმეა ამ მიზანს ემსახუროს და წვრთნას შეგირდი სწორეთ იმ გეგმაზე, რომელიც მისთვის მიუციათ. ასეთია დღევანდელი შკოლა და ასეთ პირობებში უხდება მუშაობა მასწავლებელს.

რაკი შკოლას პროგრამა გამოჭრილი და გამოზუზული აქვს, ამიტომ მასწავლებლის საქმეა მხოლოდ ამ პროგრამის ასრულება, ესე იგი მისი საქმეა არა ცოდნის დაფასება, არამედ მისთვის მიწოდებული ცოდნის სხვისთვის გადაცემა. მაშ მასწავლებელმა უნდა იცოდეს მხოლოდ სწავლების ხერხი, სწავლების წესი. ამიტომაც აიღებთ პედაგოგიურ ჟურნალებს, გამოცემებში მასწავლებელს, თქვენ გესმით მსჯელობა მხოლოდ სწავლების ტექნიკაზე და არა სასწავლო მასალის ღირსება-ნაკლებებზე...

დაბალ სასწავლებელთა მასწავლებლები ჩივიან, ნივთიერათ ცუდ მდგომარეობაში ვართ და ამიტომ მუშაობაც გვიჭირსო. მართლაც, სოფლის და სხვა დაბალი შკოლების მასწავლებელი ნივთიერათ მეტათ დაჯანსაღებულია. სამართლიანობა და საქმის პატივისცემაც მოითხოვს, რომ მასწავლებელი მაძლარი მაინც იყოს. მარა საეჭვოა, რომ ამან მაინც და მაინც ასწიოს მასწავლებელთა ზნეობრივი ხასიათი საზოგადოთ. ვინაა დღეს უფრო კმაყოფილი მატერიალურათ, საშუალო თუ დაბალი შკოლის მასწავლებელი? რასაკვირველია, საშუალოსი. აბა შეადარეთ ისინი. მე არ მგონია, რომ აქ ორი სხვადასხვა აზრი გამოითქვას. სოფლის მასწავლებელი მაინც ძალაა, მას მეტი სიცოცხლე, მეტი გულ-მოდგინება, მეტი საქმის და ხალხის სიყვარული ეტყობა. ეს ყველასათვის ცხადია. მაშ სოფლის მასწავლებლის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოიხერხება იმ შედეგებს, რომელთაც ზოგიერთი მოელოდა.

იმ საზოგადო პირობების მიუხედავად, რომელნიც შკოლას განსაზღვრულ ხასიათს აძლევენ, მასწავლებელს მაინც უნდა ეცადოს ცოტათი თავისუფლება. და აი აქ მთელი მისი ფიქრი იმაზე უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ეს თავისუფლება, ეს დამოუკიდებლობა რაც შეიძლება უფრო გონიერათ და სარგებლიანათ მოიხმაროს. სხვადასხვა დროებით გატაცებას ნუ აყვება და ამნაირათ გონებრივ განვითარებას ნუ მიატოვებს უყურადღებოთ. მაგალითათ, დღეს ყოველ შკოლაში ეპოტინებიან სხვადასხვა ხელობას და მეურნეობას. აქ თქვენ ვალდებული ხართ დაეკითხოთ თქვენ თავს, მოგაქვთ რაიმე სარგებლობა ხალხისთვის? რა ჯობს? კიტრი თესოთ და ყაჭი კვებოთ, თუ მთელი დრო თქვენი მოწაფეების განვითარებას მოახმაროთ? აქ უნდა შეადაროთ ორივე მხრით მოსალოდნელი სარგებლობა და ან აქეთ გადახაროთ თქვენი სასწორი, ან იქით. ჩემი მხრით, არ მგონია, რომ მასწავლებელმა რაიმე სარგებლობელი სარგებლობა მოუტანოს სოფელს მეურნეობის განვითარებაში. მეურნეობა მოითხოვს შესაფერ კოდნას და მოწყობილებას. თუ არც ერთი გაქვთ და არც მეორე, რა უნდა გააკეთოთ? გარდა ამისა, საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა სამეურნეო ცოდნის განვითარებლათ საუკეთესო გზა. აი თუნდ საცადი მიწა, სადაც გამოცდელი მეურნე შესაფერ კოდნას პრაქტიკულათ გადა-

ცემს სოფლის მუშას. თქვენ კი რა უნდა გააკეთოთ? ზნეობათ სოფლის შკოლაში ერთ მასწავლებელს სანუ განსუფლებება აბარია, სადაც 100-ზე მეტი მოწაფეა. ნუ შეეშინებთ, რომ ბრეშუმის ქიები ზარდოს? არა, მე მგონია აქ რაღაცა გაუგებრობა იმალება: ან მასწავლებელს არ ესმის თავისი მოვალეობა მოზარდი თაობის წინაშე, ან ესმის გონებრივი განვითარების მნიშვნელობა, ან და არ სურს ესმოღეს ის.

გარდა ამისა, ზნეობათ სოფლის მასწავლებელი ცტანება სხვადასხვა დაწესებულებების დაარსებას: საზოგადო დუქნების, გამსესხებელი კასების, საეჭრო ამხანაგობების და სხვა. რასაკვირველია, ეს დაწესებულებანი არ არიან მოკლებული შესაფერ მნიშვნელობას. მარა აი ჩვენი ცხოვრების მაგალითი. არც ერთი კუთხე არ დარჩენილა საქართველოში, რომ რაიმე საერთო საეჭრო დაწესებულება არ დაეარსებიათ. მარა დღევანდელამდის არც ერთ ამხანაგობას არ უხეირებია და ეს მოვლენა იმით კი არ აიხსნება, რომ ამ ამხანაგობათ თითქო არავითარი ნიადაგი არ ქონდეთ. არა, ისინი საქარონი არიან სოფელში. მარა უბედურება იმაშია, რომ ხალხს არ აქვს შესაფერათ შეგნებული თავისი ძალა და მყვირალა და მუქთახორა ხალხის ხმას აყვება, საქმეს უკლებს ხელში გაცვეთილ სინდისის ადამიანებს, რომელნიც სანამ შეუძლიათ, ჭამენ საზოგადო დოვლათს და მერე არხეინათ სახლში მიდიან. არც ზნეობრივი სასჯელი, არც ზიზღი. მე მგონია, გაცილებით უკეთესი იქნება, რომ თვით მასწავლებელმა კი არ აარსოს ასეთი ამხანაგობები, კი არ ყიდოს ხახვი და პარკი, არამედ გონებრივათ განავითაროს ხალხი, მოამზადოს იმდენათ, რომ საერთო ინტერესი შეივზონ და მერე თვით ხალხი გაუძღვება თავის საქმეს. აი სწორეთ დასაკვებნი ის კი არის, რომ თქვენ აარსებთ სამკითხველოებს, საეჭრო ამხანაგობებს, არამედ ის, რომ თქვენ იმდენათ მოამზადებთ თქვენ შეგირდებს, რომ გონებრივი საზრდოობა მათთვის აუცილებელ საქარობას შეადგენდეს, რომ საერთო ინტერესები იმათვით ესმოღეს და თავის საქმის გაძლოლა თვითონ შეეძლოთ.

ბევრი სხვა ისეთი მხარეების დასახელება შეიძლება, რომელნიც ცუდათ მოქმედებენ შკოლის განვითარებაზე და რომელთა აცდენა მოსახერხებელია. მარა, მე მგონია, კმარა. რანდენი ნაკლიც უნდა ვუპოვოთ შკოლას, მაინც დაწყებით შკოლა მეტათ სიმპატიური დაწესებულებაა, ხოლო სოფლის მასწავლებელი ჩვენ ყოველთვის წარმოვიდგებთ, ან და გვეფერ წარმოვიდგინოთ, როგორც უჩინარი გმირი, რომელიც თავისი მუდმივი შრომით არღვევს სიბნელის კლდეს და განათლებას და ცნობიერებას გზას უკაჟავს. ამიტომ ჩვენ უნდა ვცადოთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ სოფლის მასწავლებელმა არამც თუ არ დაკარგოს დღევანდელი პატივისცემა, არამედ კიდევ ამაღლდეს ხალხის თვალში. ხოლო, რასაკვირველია, ეს ამაღლება სხვათა შორის დამოკიდებული იქნება თვით მასწავლებელზედაც. მეტი ზნეობრივი სიფაქიზე და გონიერება აუცილებელი თვისება უნდა იყოს მასწავლებლისთვის. მაგრამ, ჩვენი აზრით, რა პირობებშია აქ უნდა ჩააყენონ მასწავლებლები, იმათ მაინც არ ექნებათ შესაფერი ძალა, მაინც ვერ დაიჭერენ საზოგადოების თვალში შესაფერ ადგილს, თუ მათ არა აქვთ ურთიერთ შორის ამხანაგური კავშირი. კორპორატიული შეგნება, კორპორატიული ზნეობის ამაღლება—აი ერთათ ერთი გზა, რომელიც პიროვნებას ამაღლებს და მასთან ერთათ საერთო საქმეს აცხოველებს და მკვიდრ ნიადაგზე აყენებს. ამიტომ საქაროა მასწავლებლებმა ისარგებლო ყველა იმ საშუალებებით დღევანდელ პირობებში, რომელნიც კი მათ შორის ორგანიზაციის შექმნის და ერთმანერთს დაუკავშირებს...

ამ ნომრისათვის დაზღვეული „შინური მიმხილვა“ ვერ იბეჭდება. ვერ იბეჭდება აგრეთვე „მატარა ყარამანინი“ და „წერილი ბელგიიდან“.

სხვა-დასხვა ამბები.

ამ წამათ თფლისში იმყოფება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, შუიი ფანდარმთა ცალკე კორპუსის, გენერალ-ლეიტენანტი თ. ბ. დ. სვიატოხლ-მირსკი.

გუმბინ, ზირველ თებერვალს, მთავრებს თფლისში ქვიშხეთში გარდაცვალებული ნინო ეიფიანისა, ქვრივი დაუვიწარი დიმიტრი ეიფიანისა. განსვენებული დასაფლავეს თავისი მეუღლის გვერდით შაქმინდაზე.

ორშაბათს, 28 იანვარს, როგორც იყო შედგა წ. გ. საზოგადოების გამგეობის სხდომა (შესამეთ იყო დანიშნული), რომელზედაც გადაწყვეტილი: 1) იშუამდგომლან სათანადო მთავრობასთან, რომ სება-დართულ იქნას უფასო სამკითხველთა დასრულება: ხარკაულში (ხეობ იმერეთი), სურბში (გურია), ს. ახალქალაქში (გორის მაზრა); 2) შექმნას ადგილობრივი: უმისთავის სამრევლო შკოლას—20 მან., ხუდურეთისა და ნაძალადევის საკვირაო შკოლას—20 მან., ერევნის საკვირაო შკოლას—15 ეგზემპლარი „ბუნების კარი“ და 50 „დედა-ენა“, დუშეთის სამრევლო შკოლას—5 მან.

მდგელმა ა. ტატუნაშვილმა შეწირა ქ. შ. წ.-გ. საზოგადოებას 1,175 ეგზემპლარი მის მიერვე გამოცემულ თხზულების „ქალი და მისი დანიშნულება“.

იმავე გამგეობას სამსახურიდან გასვლის წინადადება მიუცია კავკასის შკოლის მასწავლებელ კურდღელაშვილისთვის.

დღეისთვის დანიშნულია დურგალთა ამხანაგობის კრება, რომელშიც უნდა აირჩიოს ერთი გამგეობის წევრი, დ. გიგურის ნაცვლათ, რომელსაც უნდა განუცხადებია, — მისი კანდიდატი და განიხილოს ზოგიერთი სხვა საქმეები.

თფლისის მეჩქმეების გადაწყვეტილით ამ მოკლე ხანში საკუთარი ამხანაგობა შეადგინონ და თავისი ქარხნის დაარსონ, რომლის ანგარიშიც ამხანაგობის ხელში იქნება.

შრომის ბიუროს გამგე ბ. თამაშევი თხოვს ქალაქის გამგეობას, დასჭარხან ამ ბიუროს ქალაქის გამგებლობაში მიღების საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებული ვიქნებით ადმინისტრაციას მივმართო მისამსხურეთა და კანტონის დადგენილებათა გამოცემის შესახებ თხოვნიათა, ამბობს ბ. თამაშევი.

სასრუველია, ამ საქმეს ქალაქი მოვიდებდეს ხელს და მით მინც დაეხმარებოდეს უმწყოთ, რადგან თვით ვერაფერს იღებს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ხაროუხის ქალაქის სასწავლებელში სწავლა შეუჩერებიათ, რადგან გადამდებო ავითმოფობა გაჩენილა.

თფლისის ქალაქის გამგეობაში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ დაწესდეს მორიგეობა თფლისის ფერშელების ცენტრალურ საავითმოფობისა და ამ საავითმოფობის განყოფილებებში.

მთავარ სატუსაღო სამმართველომ ცირკულირით წინადადება მიცა გუმბინტორებს და ოლქის უფროსებს კავკასიაში, აუწიონ მას ცნობები, რამდენი სულით ავითმოფობი ეოფილა ამ ბოლოს დროს ტუსაღო შორის და რაკვარი დანისძიება მიუღიათ იმათ მონარჩენათ და ეხლა რა მდგომარეობაში არიან ავითმოფობი. ეს ცნობები მთავარ სამართველოს იმისთვის უნდა, რომ აღძრას კითხვა სულით-ავითმოფობი ტუსაღებისთვის საავითმოფობის დაარსებაზე.

15 თებერვლიდან ტფილისის გუმბინაში მოქმედებს იქვეის საფობრიკო ინსპექციის ახალი კანტონი. ამის გამო უფროსი საფობრიკო ინსპექტორი ბ. ხელიმსკი ამ წამათ ამხანაგობის შემადგენელი წევრებით სამუშაოს საფობრიკო ინსპექციის შემადგენელი წევრების მიერ იქნება.

ამ თვეში ტფილისში გაიხსნება საგუმბინო საფობრიკო-საჭარხნო საკრებულო. ამ საკრებულს თავმჯდომარედ იქნება ტფილისის გუმბინტორი, ხოლო წევრებათ—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და ორიც მრეწველთა წარმომადგენელი.

ხელახლათ დებუტატების სარევიზიო კომისიის მხსენებებიდან ჩანს, რომ ხელახლბე სხვა-დასხვა საჭარკებათათვის შეწერილ გარდასახადის ნამდვილი შემოსავალი უნდა ეოფილიეო, 1896 წლის 1 იანვრიდან 1900 წ. იანვრამდე, სულ 5474 მან. ხოლო გასავალი 1068 მან. 45 კაპ. როგორც სარევიზიო კომისიის ამბობს, ხელახლათ მოურავის სერობიანცის დაუდევრობით აღნიშნულ წლების განმავლობაში აღებული გარდასახადი ეოფილა სულ 2308 მან. 20 კაპ., ხოლო 1901 წ. განმავლობაში აუღებელი დარჩენილა 2141 მ.

როგორც ლიონიდან იწერებია, მკარბეშუმეობის ნაწარმებზე ფასებს ცოტათი აუწევია. ადგილობრივი ქარხნებზე გამხმარი ზარკი ეიღება ფუთი 45—48 მან.

ამიერ-კავკასიის საზოგადოებო საკრობო დარჯების შესახახათ და აგრეთვე მთ საჭარკებათა მთავრებათ მიმდინარე წელში გადადებულა: ტფილისის გუმბინისთვის—335,576 მან., განჯისა—434,230 მან., ქუთაისისა—438,712 მ., ბაქისი—324,997 მან., ერევნისა—517,025 მან., ვარსის ოლქისთვის—256,008 მან. და ზაქათლისა—54,005 მან. სულ 2.360.553.

1901 წელს თფილისში სხვა-დასხვა გადამდებო სენით გამხმარა სახადით—16 კაცი, მუცლის სახადით—80, დარბუნებულის სახადით 56, ჭლექით—6, ევავილით—41, წითელათი—105, ქუნთრუშით—245, დიფტერიით 172, ეელჭირვებით—11. ეივანა-ხველით—12, ქათათი—3, ციმიბრის ჭირით—2, ზარტანტით—10, სისხლის ფლარათობით—2, და წითელი ქართ—6; სულ კი—767 კაცი; ამთგან 379 არჩენდენ სახლში, ხოლო 418 —სავათმოფობებში. ევვლასზე ბევრი ავითმოფობი ეოფილა მათე საზოგადოებო უბანში (189 შემთხვევა) და მეცხრე უბანში (155 შემთხვევა), ევვლასზე ხალბი—მეექვსე უბანში—22 შემთხვევა.

ზოლიციის ცნობებით, ტფილისში 10,641 სახლია, სასტუმროება და გასაქირავებლათ მოწობილი ოთახები 61, მეკობები კი დაუქირავებიათ 2,135 კაცი.

ბათუმის ოლქში, ქვედა აჭარაში იხსნება სასოფლო ბანკი, რომელსაც ძირის თანხა ექნება 3000 მან.

ქუთაისში 26 იანვარს მხდა საახნაურო ბანკის რწმუნებულის კრება. კრების გასარჩევლ საგნები იყო: 1) გავრცელება ქუთაისისათავად-ახნაურო ბანკის მოქმედებისა სხვა გუმბინებზე, მკ. ერევნის, ბაქის, განჯის და შავი ზღვის. 2) სესხის გაცემა ბათუმის ვაქუფიან მამულებზე. 3) სესხის გაცემა დაბა-აკარაკებში. 4) 4 1/2% გორავნობის ფურცლების გამოცემის ნების აღება 5) გორავნობის ფურცლების გამოცემის უფლების შეუმცირებლობა. 6) მინიჭება ქუთაისის სათავად-ახნაურო ბანკისადმი იმავე უფლებათა, რომლებიც უკვე აქვს ტფილისის ამხანაგობა ბანკს, მკ. 7) გორავნობის ფურცლების შეიღვა ბარავზე; 8) დამოვსებულათ კომისიის სახელმძღვანელო წესდების შეცვლის ნება; 9) სესხის ვადების გადადება 36 წლამდე და 4 თვემდე და მეტიოც. ევვლას ეს კითხვები ექვს წელიწადზე მეტია, რაც ბანკის საზოგადოებაში გარჩია, სასარგებლოთ ცნო და დაავდა გამგეობას წარუდგინა სმი-

ნისტროში; ამიტომ ახლა კრებას საბასო არა ჰქონდა-რ. ერთ-
ხმით, უთაბიროთ დაადგინა განმეორებით აღდრულ იქნეს შუამდ-
გომლობა სათანადო მთავრობის წინაშე ამ მოთხოვნილებათა დას-
კმაყოფილებლათ. (ცნ. ფ.)

შემხიდან წერენ გაზეთ „გაზეთს“: 31 იანვარს აქ ძლიერ
მიწის-ძვრა იყო. დაიწერა ქალაქის თათქმის ეგვლა სხლეები, ვად-
რხა რამდენიმე. ხალხი ბევრი დაიხრცა. აგრეთვე იძრა მიწა შემ-
ხის მიდამოებშიც.

ამავე დღეს, ჩაშუადღევს 2 საათზე, მოხდა მიწის-ძვრა თფი-
ლისშიც.

ხონიდან გვწერენ: აქ ადგილობრივი ქალების ზრგობისათვის
სასარგებლოთ სცენის მოწყობით, ქუთათური არტისტის ბ. ჯანაივის
თანხმობით, გამართეს წარმოდგენა დივერტისმენტით და შემდეგ
ცოცხალი სურათებით. წარმოდგენით „ადვოკატი შელაქ“. დაჩუ-
ნით წმინდა შემოსავალი 94 მანათა.

იქიდანვე ზოგიერთ ადგილობრივ ზედგოგვის განზრახვა აქვთ და-
ახსონ საკრებულო (კრუუკი), სადაც გაიმართება კითხვა და ბასი
საქდაგოგო და სხვა საკნებზე.

როგორც ვიცით თუილისის გუბერნიისეც გაავრცელეს
ფაბრიკა-ზაფოდებზე და მუშათა და დაქირავებულთა ურთიერ-
ობის ზედამხედველობის წესები... ამის შესახებ გაზეთ «რუსკ.
ვედ.»-ში დაბეჭდილია შემდეგი:

1901 წ. 26 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს უმაღლესათ
დამტკიცებული აზრით, საფაბრიკო ინსპექციის რაიონ ში ჩა-
ცხულ იქმნენ ქუთათისის და შავის ზღვის გუბერნიები და ამ
გუბერნიებზე გავრცელებულ უნდა იქნეს 1886 წ. 3 ივნისის
მთავარ კანონის მიერ დადგენილების წესები საფაბრიკო-სა-
ქარხნო დაწესებულებათა, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშების
დაქირავებისა და ფაბრიკანტთა და მუშათა ურთიერთ დამო-
კიდებულების საზედამხედველოდ. ამ წესთა შემოღება გამო-
იწვია, თანახმით კავკასიის მთავარმართებლის აზრისა, ერთის
მხრით მრეწველობის საკმაო განვითარებამ ამ გუბერნიებში
და მეორე მხრით ცუდმა განწყობილებამ ფაბრიკანტთა და მუ-
შათა შორის, რაც მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოწესრიგებას.
1901 წ. 1 იანვრიდან ხსენებული ზომა, 1902 წ. 25 დეკე-
მბერს უმაღლესათ დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა
თანახმით შემოღებულ იქნა თუილისის გუბერნიისა იმავე
წესებით.

თუილისის გუბერნიის წარმოების ძრავალ ფერობით ბირ-
ველი ადგილი უჭირავს და ამიერ-კავკასიაში წარმოადგენს სა-
ფაბრიკო-საზაფოდო მრეწველობის ცენტრს. გარდა აკურხა-
ნებისა და წისქვილებისა, თვალსაჩინო ადგილი უჭერიათ წარ-
მოებათ: ბამბის ქსოვილებისა (მუშა—460 კ. წარმოება—
530 ათას მან.), მატყლის რეცხვის (მუშა—100, წარმოება—
500.000 მან.) ფარდაგებისა (მუშა—150, წარმ.—340 000
მან.) და ტყავისა (მუშა—580, წარმ.—1,450.000 მან.) უმთა-
ვრესათ მრეწველობა განვითარებულია თუილისში, სადაც 12
ათასამდე მუშა ითვლება მრეწველობაში.

საერთო ხარჯი, რომელსაც გამოიწვევს თუილისის გუ-
ბერნიისა საფაბრიკო ინსპექციის შემოღება, შეადგენს 7,650
მან., მაგრამ რადგან გაუქმებულია საგუბერნიო მექანიკის თა-
ნამდებობა, რომელსაც 3000 მან. ეძლეოდა, ნამდვილი ხარჯი
შეადგენს მხოლოდ 4.650 მანათს.

კორესპონდენციები.

დარკვეთიდან საჩხერამდე. შუკა დაიწვეს დარკვეთიდან
სახხერამდე კზის კაყვანა. მოვლენა ფრიად სსსიამოვნა.—მხოლოდ

არც შენ გვიანდობნება, შვითხველო, ის გარემოება, რასაც მე მოკ-
ვევია: ეგვლა იმ მუშებში, რომელნიც ამ გზაზე მუშაობენ დიდი
დიდი ძლავს ეკებ ორი ქართული იზოფა; ეს იმის გამოა, რომ
პატივცემული არენდატორი (ბერძენია), რომ ქართულში, იმისთვის
თუ არა ცოტას, მაშინვე ფულს თხოვლობთა,—ამას ბრძანებს მ.
შინაც კი, როდესაც ქართული მუშა ააზნათ ნაკლებში მუშაობს
თხოვს! ააზნათ ნაკლებში იმუშავე, ქართულად, და ფულსაც სუ მო-
თხოვ თავის დროზე! ახირებულია თქვენმა მშემი შეიძლება სსკ
ჯურის ხალხი უჭმული ანგელოზები იყვენ, ეს საუცხოვო ტაქტი
კაა ბ-ნი არენდატორის.

დაბა სახხერეს სამხრეთით, ხუთი ვერსის მანძილზე უძველეს
ფული ქართო, რომლის მდებარეობაც მაინც და მაინც ვერ გავ-
გვირგეთ, მხოლოდ გააცნეთ ის საზიზღარი ბორატებს, რაც ა
სოფელში ტრიალებს. შემოუღიათ მადათ ერთმანეთის წვა. დაწ-
ვი ეს ერთ-ერთი უადვილესი საშუალებაა კაცის განადგურების
მისი კერის გაცივების!.. წარსულ კვირაში გლეხს გიგო შარვაძე,
დაუწვეს მარანი, რის ზარალიც უდრის ას მანეთს. ამ უბედურები
წინეთ კიდევ მისთვისვე დაქვით თივის ზვიბები და წალამი. ამი
თანა ბორატებს კვირა არ გავა ისე, რომ ამ სოფელში სამი-ათს
არ მოხდეს. საჭიროა ამ გათამამებულს ბორატებს განსაკუთრებით
ურადღება მიექცეს თვით ადმინისტრაციისგანაც, თორემ მთელ
სოფელი მალე ნატრათ იქცევა.

ონა ხელიაშვილი.

დ. სამტრედიო. სამტრედიის უფასო სამკითხველო უკვე მო-
თავსდა ახლ ბინაზე 25 იანვარს და მით ედირსა თავისუფალი
სულის ამოხუნთქვა. ეს ბინა არის აქურ შემხახველ გამსესხებუ-
ბანგის ზემო სათაულში „ბირველ ქუჩაზე“. ამ 1902 წ. სამკით-
ხველოს შესახავათ, ადგილობრივ ხელახლებამ და ვაჭრებმა გადა-
დგეს 350 მ. როგორც საზოგადოთ, ჩვენშიც საკმაო სისწრაფი
იფეთქა სწავლა-განათლებისადმი მისწრაფებამ საზოგადოებაში. ამი
საბუთათ სხვათა შორის მოვიყვან წარსულ შემოდგომასზედ მომხდა-
მკვალთის ამავე დაბის ახლათ აშენებულ ორკლასიან სამინისტრო
სასწავლებელში, რომელშიც ორ-სამ დღის განმავლობაში 200-ზე
მეტე მოსწავლე (ქალი—და ვაჟი) მოაწედა. ასე გასინჯეთ 17—18
წლის ქალებიც კი თხოვლობდენ შკოლაში მიღებას. ცხდათ ჩანს, არ
ნაკლებ სარგებლობას მოუტანს სწავლის გარეთ დაჩხენილთ საკვი-
რაო შკოლა. რომლის შესახებ ამა წლის—8 იანვარს ბ. აღ. მირი
ახლამ თავის სდგომში მოიწვია რამდენიმე აქური ნაცნობ ინტე-
ლიგენტთაგანი, რომლებთანაც აღძრა კითხვა საკვირაო შკოლის და
არსებაზე. ეს კითხვა ეგვლა დამსწრეთ დიდი აღტაცებით მოისმინე
და დიდი თანაგრძობა და დახმარება აღუთქვეს.

დიდი სიხარულით აღუთქვეს, დახმარება როგორც განზრახულ
მიზნის განხორციელებაში, ისე თავში თითო კვირა დღე უსასუიდელო
იმრომონ შემდეგმა პატივცემულმა მასწავლებლებმა: მ. გიგოგიძემ, მ.
ქაჯაამ და ვ. კანდელაკმა (კულამის ორ-კლასიან სამინისტრო შკოლის
იმედა, ზედამხედველი ამავე დაბის ზემოხსენებულ სასწავლებლის
ბ. ჯაშიც დახმარებას აღმოუჩინს ამ ფრიად სიმატიურ განზრახვას და
მით დაავალებს სწავლის გარეთ დაჩხენილ საზოგადოებას. ამ რი-
გათ მასწავლებლათ შრამს უსასუიდელო იქნება შკოლაც თავისუფა-
ლი არის კვირაობით მთელი თავის წყობილობით. და ერთათ ერთ
ნებაბრავ არის საჭირო, რომ საქმე გაიხაროს. იმედა, ზემოხსენ-
ებული ბირნი ეხერგიულათ შეუდგებიან საქმეს და მალე მოიყვანენ
სისრულეში, საზოგადოების საკეთილდღეოთ, რომელიც თავის
მხრით, დაწმუხებული ვართ, ზნობიერ დახმარებას აღმოუჩინს კეთილ
დაწვეულებას.

ციხის ბირელი.

სად. გორი. სად. გორის მესამე კლასში, რომელშიც ხვე-
ბათ მატარებლების ღოდანი უმეტეს წაწილათ ღარბ და სოფელი

ხალხს, ამ წამთარში იშვიათ თუ ინიებს ცეცხლი, რის გამო შიგ მუდამ ცივა და იქ მეოთხე უყინდებთ სხეული; სისხნეული სდგურის მესამე კლასი მოკლებული იყო ცეცხლს იმ დღეებშიც, როგორც არის ახალი წლის წინა დღეები და თვით ახალი წელიწადი, როდესაც ხალხის მოძრაობა მეტად გაძლიერებულია. შემადრწუნებელ სურათს წარმოადგენდა სოფლებიდან ურძით ჩამოსული ხალხი, რომლებმაც ქარისგან გაციებულის სხეულის გათფობის მაგიერ სხეულში ახოვო თავი. ხეტავი ვიცოდეთ, არ არის ს. გორის მესამე კლასისთვის გადადებული ნაწილი? როგორც იქ მოსმისხურეებმა გადმოიტეს, ხანდახან ცეცხლს ახსიებენ ერთ-ერთ ფეხში, მაგრამ ერთი ფეხი, რაც რომ გახსნო, იმდენა დაბაზს ვერ გაათბობს. იქედია ამის მიაქცევს უურადლებას ვინც ვერ არს.

მგზავრაგანი.

რუსეთის ცხოვრება.

— ამ წლის გაზაფხულის გასულ ქალთა საკვიმო ინსტიტუტში ზირველათ დასრულდნენ კურსს ექიმი-ქალები.

— ნიჟნინოვოროდის ქალაქის გამგეობა შედგომია ზრეკტის შემუშავებას, რომლის მიზანია ქალაქის საშუალებებზე მომუშავეთა დაზღვევის მოწყობა.

— ხერსონის და ასტრახანის გუბერნატორებმა გამოცეს სავადებულო წესები, რომლითაც აკრძალულია ეოველნიერი ერილობა ქუჩებსა, მოედნებსა და სხვა საზოგადო თუ კერძო ადგილებში მთავრობის ნებ-დაურთველათ.

„რუსეთის სამხრეთ მხარის მთა-მდნის წარმოების სტატისტიკურ ცნობებში“, რომელიც გამოუცია სამხრეთ-რუსეთის მთა-მდნის მწარმოებელთა სიკზდის რჩევას, აღნიშნულია, რომ მხოლოდ სამხრეთის მთა-მდნის სწარმოვო რაიონში ერთი წლის განმავლობაში ეგრეთ წოდებულ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულა 1,507 შუშა. მათში ჭყვან—386 (მომკვდარა 81), მძიმე სავსების დაცემისაგან—341 (მომკვდარა 43), მღაროებში ჩავარდნისაგან—54, ცუდი ჭყერისაგან—46 (მომკვდარა 38). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სავსაგანში წლის განმავლობაში სხეულებ რაიონში მთა-მდნებზე მუშაობდა 80,000-ზე მეტი კაცი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ ქალაქ მინსკში დაარსდეს მუშათა კლუბი, რომელიც იქნება ზირველი რუსეთში. კლუბის დაარსების ინიციატივას ეკუთვნის სხეულები ქალაქის დურკვებს.

— როგორც ვიცით, გასულ წელს ცნობილმა ბელეტრისტმა და ექიმმა ვერესაევმა დაბეჭდა ჟურნალში და მერე ცალკე წიგნათ გამოცა „Записки врача“. ამ ფრიად გულწრთელ წერილებში ექიმი ურაცხვი ფაქტებით ახსნათებს საქმიმა საქმეს. ის სათლათ არკვევს, თუ როგორ მომუშაებელი გამოდან ცხოვრებაში ახალგაზდა ექიმები, თუ როგორ გულ-გრძლიათ ეზერობა თავის საქმეს ბევრი ექიმი. რასაკვირველია, ბევრ მის ამხანაგებს არ მოეწონა ასეთი საქმიელი ვერესაევისა. ზოგი იძხის, ხალხმა არ უნდა იცოდეს ჩვენნი სისუსტეო, ზოგი—ვერესაევმა თათონ ანაფერი იცის, თორემ ჩვენ ვაი ბეჭები ვართო. მასავით გულწრთელნი კი დიდი აღტაცებით მიეგებენ მას და ულოცვენ, რომ ასე აშკარათ დასახვას საზოგადოებას ექიმობის ნაკლებუკანება, ამხანაგებს კი გახსენა სხეობრივი განახლების და განვითარების გზაზე მუდმივი შრომის სავსროება.

— სხალხო განათლების სამინისტრომ კვლავ განმარტა, რომ სამსწავლებლო ოლქის მართველობას შეუძლია ნება დართოს კერძო სწავლებლებს სავსრობა შეტლების დაარსების, მხოლოდ იმ ზირობით, რომ სხეულებულ შეკლებში სწავლების მეთვადეურეთ იყოს რომელიმე სამართებლო სწავლებლის უფროსი.

საზვრანგეთი.

საზვრანგეთი. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ბიუჯეტის განხილვის დროს ზალატის უურადლებას მიაქცია ამ სამინისტროს წინადადება, რომ კლიუნის სახელავნო-სამრეწველო შოკლის მოსწავლეები მსხურებდნენ ჯარში მხოლოდ ერთი წელიო. ამ სავსრე მსჯელობის დროს ზოგიერთი დებუტატი იმეგნებდა, რომ ეს შეკლები უნდა გახდეს საზვრანგეთის მოსწავლეების მოსწავლეებისთვის. დებუტატმა დეკერისსემ კომითხვას, რომ მოქსბათ ეოველი გამოხავლები და შეკვაბები და უსავედურა მთავრობას, რომ მას ანაფერი არ გაუკეთება სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებისათვის, რასაც თხოვლობდა სამხედრო საქმეთა კომისია (ორ წლამდე უნდა შემოკლდეს სამსახურის ვადა). მან მოითხოვა, რომ საზოგადოთ ეოველნიერი ღვოტების მოქსბობის შესახებ იქონიოს მსჯელობა იმავე კომისიამ. ამ სავსების შესახებ დაუყოვნებლივ კანონ-პროექტის წარმოდგენა მოითხოვა დებუტატმა გეზიმ. ზალატამ შეიწყნარა დავურისსეს წინადადება და კითხვა გადაეტა კომისიას.

ინგლისი. ინგლისის ოთხ საარჩევნო ოლქში მოხდა დებუტატების არჩევნები. ეველგან უმთავრეს კითხვათ წამოყენებული იყო არა ტრანსპაადის ომი, როგორც წინეთ, არამედ მიწის სავადებულო გამოყიდვა, რომელსაც თხოვლობენ ფერმერები. ზარტიებმა შეირჩინეს თავისი ადგილები, მაგრამ ამკარათ ეტეობა, რომ თანამედროვე სამინისტროს ამრეველთა ნდობა ეკარგება, და ეოველ შემთხვევაში ის სავარეო პოლიტიკაზე ვეღარ შეახერებს მოქალაქეთა უურადებას. ასე განსჯეთ, თავის საიმედო ოლქებშიაც კი იმეღებული შეიქნეს მიედებინებათ კონსერვატიული კანდიდატისთვის მიწის გამოყიდვის მომხრეობა. ერთ ოლქში წამოყენეს აფრიკის ჯარის კაპიტანის უოლესის კანდიდატურა. სამინისტროს მომხრე გახეებმა მაშინვე ასე დაყენეს კითხვა: ვინც ამ კანდიდატს შავს მიცემს, ის ბურების მომხრეაო, მაგრამ ამომრეველებმა უპასუხეს, ჩვენ მიწის გამოყიდვა უფრო კვანტრერესისა. და ამის შემდეგ შეიტანეს მის ზროგამში. «თუ დღევანდელი კანონ-პროექტი არ გამოდგა (მიწის თავისუფალი გამოყიდვა), მაშინ მე შევიქნები სავადებულო გამოყიდვის მომხრეო».

საინტერესო წერილობითი ზირობა ჩამოართვეს ერთ დებუტატს, რომლის წინამოადგილე დაზირებდა ამრეველებს სხეულები კანონ-პროექტის მომხრეობას და მერე კი მისი მოწინააღმდეგე შეიქნა და დებუტატობას თავი დახნება, როცა სახელმწიფო სამსახური იშვია. ახალი კანდიდატი წერს და ხელს აწერს: „გაძლეოთ ფიცს და გზირდებით, რომ მე ზარლამენტში ეოველთავის მომხრე ვიქნები მიწის სავადებულო გამოყიდვის. გზირდებით ეოველი საშუალებით ხელი შევეწყო ამ კანონის შემოღებას და ვიხელმძღვანელებ ეოველთავის ოლსტერის ფერმერების და სასოფლო მეურნეობის მუშათა ზროგამით. ვოიდავ აგრეთვე, რომ არ მივიღებ ანავითარ სახელმწიფო თანამდებობას იმ სამინისტროსაგან, რომელიც წინააღმდეგი იქნება ამ კანონ-პროექტისა. და თუ მე დავარდვები ჩემი დაზირებანი, მაშინვე დავთმობ ჩემ რწმუნებათ“.

— გასულ წელში, გეხსომებათ, სამინისტროს ზარტია არა ერთხელ გმუქრებდა ირლანდიელებს, დებუტატების, რიცხვს შეგიმცირებო და მართლაც ზოგიერთმა დებუტატებმა აღძრეს ეს კითხვა ზალატში. მათი გამოხვარბებით, ირლანდიელებს მეტი დებუტატი ეავთ 31 (103-დან) და ეს უნდა მოკლებოდათ. მაგრამ თვით სამინისტროც წინააღმდეგი შეიქნა ამ წინადადების, რადგან, ბაღეურის სიტყვით ეროვნულ ნიადაგზე ასეთი კითხვის დაყენება მეტათ სავსრობათ. ლიბერალები კი ამტკიცებდნენ, რომ ირლანდიელებს ამდენი დებუტატის ეოლბის უფლებობა თვით უნიის ძალით აქვთ, რომლითაც ისინი ინგლისს შემოუერთდნენ და მისი მოკლებების უფლებას არა აქვს ზარლამენტსო. ვარდა ამისა ასეთი მოქმიებების შედეგათ ეველს მოკლდა ირლანდიელთა გამწვავებას და ზალატამ უარყო წინადადება.

ზამრანია. რეისიტატში აღძრეს ლაზარკი შესახებ ქალთა განათლების და უფლებებისა. სავსროველი ის არის, რომ ამ დებუტატებში ქალთა ემანსიპაციის მომხრეთ თვით კონსერვატორთა ზარტიოდანაც კი ბევრი გამოჩნდა. მოხუცმა კარდოვმა, (კონსერვატორის) რომელიც თავისი გულწრთელობით შესანიშნავი იყო ეოველთავის,

გაცხარებული კამათის დროს დაიძახა: „ბატონებო, ჩვენ ქალებსაც, რომ უფლება ჰქონდათ არჩევნებისა, დღეს ჩვენი ზარღამენტი ის არ იქნებოდა რაც არის და ვინ იცის იქნებ ამაზე უკეთესი ეყოფილიყო“.

კონსერვატორის ზარიდან ამ სიტყვების გაგონება მართლაც რომ სავიწოდებელია თუნდ გერმანიაშიც, იმ გერმანიაში, რომელიც თუმცა ბუდე მრავალ გამჩენილ მეცნიერთა, მაგრამ ქალთა კითხვის შესახებ ვა თითქმის ყოველი მათგანი მეტათ და მეტათ უკუღმართის აზრისა იყვენ.

არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დეპუტატ ბასსერმანის სიტყვას, რომელმაც აუწყა რეისრტაცს თუ რა კარგი ნაყოფი მოუტანია, და როგორ კმაყოფილი არის თვით საზოგადოება ქ. მადენისა, სადაც გემნაზიაში ერთათა სწავლობენ ქალები და ემაწვილები, ბასსერმანის სიტყვიდან ნათლათ გამჩნდა, რომ უწევებულ გემნაზიაში ქალებს სანაქებო გავლენა აქვთ ემაწვილებზე, ეს უკანასკნელნი სწორათ ბაძვენ მათ, რადგანაც ქალები არათუ მათ არ უვარდებიან სწავლასში, არამედ სწორათ უსწრებენ კიდევ.

ადრულ კითხვის გამო დეპუტატმა ვაგნერმაც წარმოსთქვა თავისი აზრი და განაცხადა სამწუხარო განკარგულება ბერლინის უნივერსიტეტის რექტორისა, რომელმაც ქალებს აღუვრდალათ სტუდენტების ფერეინზე ლექციების კითხვა. „არც მე და არც ჩემი ამხანაგები, სთქვა ვაგნერმა, არათურ დამაძვირებელს არა ვხედავთ მამაკაცებისთვის იმაში, რომ მათ კათედრიდან რეფერატს ქალი უკითხავდეს, ჩვენ დიდხანია მიუკნებებით იმ აზრს, რომ ზატივ სტუდენტის შრომა და ნაჭი, რომელსაც იხევენ ქალები ჩვენს უნივერსიტეტში. ახლორეთ ქალებს თქვენი ბიურკრატული რბევა, მიეცით გზა აზრის თავისუფლებასა“.

ვიმეორებთ, კამათი ქალთა კითხვის შესახებ რეისრტაცის სხდომაზე მით იყო შესანიშნავი, რომ მან დაგვანახა თუ რამდენათ შეგვლიდა გერმანიის ობსკურანტებშიაც ვა აზრი ქალთა ემანსიპაციის შესახებ. აი რას წერს ერთი თვით ოფიციალური გაზეთი ამავე საგანზე: „არა, ბატონებო, ის გზა რომელზედაც შედგენ ინტელიგენტი ქალები, მიღის უფსკრულისკენ ვა არა, არამედ ზევიით, არა მარტო იმავე ქალებისათვის, მათ ძმების, ქმრების და მოუღი საზოგადოებისთვის“.

ჩინეთი. როგორც ვიცით, ევროპის სახელმწიფოებმა ჩინეთთან ხელშეკრულების დროს თრთხილათ აუარეს მხარი მანჯურების კითხვას, რომლის გამოც ასე თუ ისე რუსეთს უნდა შესებოდენ. ახლან თანდათან ზოგიერთი სახელმწიფოები, მაგ., იაპონია და ამერიკა ესარჩლებიან ამ ზატარა მხარეს ჩინეთისას. როგორც გაზეთებში იუწყებიან ხსენებულ სახელმწიფოებმა თავკამადებით მოთხოვეს ზასუხი ჩინეთს შესახებ იმისა, რათ მიცა ჩინეთმა რუსეთ-ჩინეთის ბასეს ზოგიერთი ზრვილეკიები და მით რათ დაარღვია სხვა სახელმწიფოთა ხელშეკრულება ჩინეთთანა.


† თამარა ჭუჩუბაშვილის ხსოვნას.

იყავი სათნო, იყავ კეთილი,
სულით სპეტაკი გაბრწყინებული,
გრძობობითა სავსე, მაგ უმანკო გულს
ებრალეობდა მოძმე ჩაგრული.
ყმაწვილი გული, ნორჩი ძალღონე
მარად მშრომელი დაუზარებლათ
რომ მსხვერპლი იყოს უფულო კერპის,
ოხ! რა მწვავია გასაგონებლათ!
გულის ტკივილით ამონაქცევი
მისთვის ჩამოგვედის ცრემლები მწარე
სანამ ცოცხლ ვართ, არ დაგივიწყებთ
ჩვენი გულია, შენი სამარე!

ვატო მიქელაძე.

SINITO PARVULOS

(და ნეგრისა).



თუ სადმე შეგხვდეთ გზა-ჯვარედინებზე,
ან მოედანზე, ღამე თუ დღისით,
ბავშვი გამხდარი, გაყვითლებული,
ატაცებული რაღაცა შიშით,
* *

მწარეთ მტირალი, გასაწყლებული
და დარჩენილი მარტო ობლათა,
გთხოვთ, გვევდრებით აქ მომიყვანოთ,
მსურს ავიყვანო იგი შვილათა.
* *

ჩვენ გაგვაშორებს მხოლოთ სამარე,
ჩაიკრავ გულში, მოვუალერებს,
რაც მისწავლია ყმაწვილობისას,
იმას ვასწავლი და შევათვისებ.
* *

და დავუთავებ იმას ჩემს მერე
მთელ ჩემ სიყვარულს და წმიდა რწმენას,
დღლობრივ ზრუნვას... მთლათ ჩემ სიცოცხლს
გარს შემოვავლებ მის ნორჩ არსებას.
* *

მე ვუანდერძებ მას მოთმინებას,
პატრონური შრომით ცხოვრებას,
და მის ნორჩ გულში წმინდათ დავიცავ
შეუბღალავსა უმანკობას.
* *

ჭკუით, გონებით მთელი არსებით
გარს ჩემ პატარას შემოვევლები,
არ მოვშორდები მასთან, ვიქნები,
მისთვის ვიცოცხლებ მისთვის მოკვდები.
* *

როს დავებრდები, დავძებუნდები,
ის გაიზრდება, დავაყვაცდება,
შრომით, მოთმენით ის მოიპოვებს
იმას, რაც დედამ მას უანდერძა.
* *


თამამათ, მედგრათ, იმედიანათ
ის გაუდგება ცხოვრების ვზასა,
და მაქვს იმედი, რომ არ შემარცხვენს,
არ უღალატებს თავის რწმენასა.
* *

როცა მოვა დღე აღსასრულისა,
და სამუდამოთ დავხუჭავ თვალსა...
ჯილდოთ შეილისგან ისიც მეყოფა
რომ ცრემლით მორწყავს ჩემსა საფლავსა.
კ. ჯაფარიძე.

სამწუხარო შედეგი

(ისტორიული რომანი 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან)
გვ. ნინო შეილისა.
(გაგრაქლება.—ნ. № 3).
II.

მინამ ჩვენი რომანის გმირები, ბესია და მისი ამხანაგები, მივიდოდნენ იმ კაცთან, რომელთანაც წაივდნენ რჩევის საკითხავათ, ჩვენ მოკლეთ ვუამბობთ მკითხველებს, თუ რა საქმის შესახებ იყო ეკლესიაზე ის ყრილობა და ერთმანეთის დაფიცება, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ ამ რომანის დასაწყისში. მას შემდეგ, რაც პატარა გურიის სამთავრო პოლიტიკურათ შეერთდა (1812 წელს) რუსეთის სახელმწიფოსთან, ბარ-



ბაროსი ოსმალეთის ხეცდრათ გამხდარნი, დადიხნიდან პოლიტიკურათ და ზნეობრივათ ჩვენთან დაშორებულნი, ჩვენი მოძმე ქობულეთელები და აქარლები ძლიერ შიშობდნენ: რუსები რა რომ გურიაში ფეხს მოიმარებენ, შემდეგ ჩვენი მამულის დაპყრობასაც მოინდომებენო. მეტადრე ამის გამო ძლიერ დაფიქრებულნი იყვნენ იქაური თავადები (ბეგები), რომლებსაც დროიანათ მიეყიდნათ თავიანთი სამშობლო და ხალხი ოსმალეთისთვის და ახლა ცხოვრობდნენ ხონთქრის მიერ ბოძებულ ჯამაგირებათ და ულუფებით. ამ ბეგებს კარგათ ესმოდათ, რომ რუსეთის ხელმწიფე ისე ტყვილა ხელობა-ჯამაგირებს არ მიჩივებდათ, როგორც ხონთქარი, რომელიც თითო გოგოს ფასათ აჯილდოვებდა მათ ფაშობას ღირსებით, დიდი ჯამაგირებით და მოსამსახურეებით. ამას გარდა გურიაში რუსეთის ფეხის ჩამოდგმა ერთი მითაც აჯავრებდა ქობულეთ-აქარას, რომ რუსებმა გურიის და ოსმალეთის შუა, საზღვარზე, გააჩინეს ფრთხილი და მძლავრი დარაჯები, რომლის გამოც ქობულეთ-აქარის «აბრაგებს» აღარ ძალ-უძღათ ჩვეულებრივად ეძარცვათ და ელლიტათ გურიის ხალხი. ამიტომაც იყო, რომ ქობულეთ-აქარა ყოველგვარი საშვალებით ცდილობდა უსიამოვნო ახალი მგზობელი—რუსები—გურიიდან უკანვე გაერევა. წადილის სისრულეში მოსაყვანათ საქიროთ ხელადენ ერთ საშვალეზას: უნდა ჩამოვედოთ მტერობა და უკმაყოფილება რუსეთისა და გურიის ერთა შორის და აეჯანყებიათ ეს უკანასკნელი რუსეთის წინააღმდეგ.—მერე, რა რომ გურია რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდება, ჩვენც ჩვენი მხრით ჯარს მივუსვით და გავრეკავთ რუსებს გურიიდანო,—ფიქრობდნენ ქობულეთ-აქარის ბეგები. ისინი ამ მიზნის მისახწევათ უმეგობრდებოდნენ გურიის იმდროინდელ თავად-აზნაურობას, რომლებშიაც უმეტესი ნაწილი იმათი ახლო ნათესავი იყო, ამაგებდნენ იმათთან რუსეთის ზნე-ჩვეულებას, წეს-წყობილებას და სამოთხისებურ ცხოვრებათ ხატადენ ხონთქრის ქვეშევრდომობას.

გავიდა ამ პოლიტიკური ბადის ქსოვაში კარგა ხანი ქობულეთ-აქარის ბეგებს ჯერ ვერ მოეხერხებიათ გურიის ხალხსა და რუსის მთავრობას შორის სრული აშლილობის ჩამოგდება; თუმცაღა თითო-ოროლა კაცი გურიის თავად-აზნაურებისაგან ყოველ წლივ მიყავდათ თავის მხარეზე ბეგებს და უორგულებდნენ რუსებს, მაგრამ მთელ ხალხში ერთი-ორი, და თუნდა ასიც, გინდ ერთგული იყოს მთავრობისა, გინდ ორგული, ვერცა რას დააკლებს და ვერცა რას შემატებს. მაგრამ დაახლოვდა აგერ 1841 წელი; ქობულეთ აქარაში ეაქვაცობით განთქმულმა, თავისებურმა პოლიტიკოსმა, გონება-გაქპრიახმა ქობულეთის ბეგმა ჰასან თავდგომიკმ მოუხშირა გურიაში თავის ნათესავ თავადებთან სტუმრობას. ის ბარათები, რომლებიც ამ ბეგის სტუმრობის დროს საიღუმლოთ დადიოდნენ გურიის თავად-აზნაურობაში, ამტკიცებდნენ, რომ ეს სტუმრობა არ იყო უმნიშვნელო ერთმანეთის მამიდა-მზახლური მოკითხვა, არამედ მას სარჩულათ ქონდა სულ სხვა მიზანი. როგორც ეს ხშირათ ქირს ხალხს, რომ ერთ ეინმე ადამიანს ტყუილ-უმართლოთ აჩივებენ, ცამდი აიყვანებენ და გააღმერთებენ, გურულ ხალხსაც ეგრე მოუვიდა: გაიცნეს თუ არა ჰასან თავდგომიკე, უცებ მოედო იმისი ქება მთელ გურიას; დიდსა და პატარას ამ დროს გურიაში „ჰასან ბეგი“ უტრიალებდა ენაზე და ასხმიდნენ ქებას. ასე გასინჯეთ, ამ ბეგის შეთხზული სიმღერა «ჰასან ბეგურიც» კი მაშინათვე გადმოიდეს და გახდა გურიაში პირველ საამურ სახალხო სიმღერათ; ის მოსიმღერე მოსიმღერეთ არ ჩაითვლებოდა, თუ „ჰასან ბეგური“ კარგათ არ იცოდა. თითქმის ყველა გურიის თავმომწონე ყმაწვილი კაცი იცნობდა ამ ბეგს. წარმოიდგინეთ, ქალებსა და ბავშვებსაც კი ისე ენატრებოდათ ამ საარაკო ბეგის ნახვა, რომ როცა გაიგონებდნენ ამა და ამ გზაზე ჰასან ბეგი გაივლისო, გზის აქეთ-იქით ნაპირი გაივსებოდა ხალხით.

იმ დროს, როცა გურიის ხალხი სულელივით დალაღებდა ჰასან თავდგომიკის ქებას, ამ ხერხიანმა ბეგმა კიდევაც შეასრულა ამ ხალხში თავისი წადილი, ესე იგი ~~აქვედნენ გურიის~~ ერთი რუსეთის წინააღმდეგ. აქ წამოუხსრო ~~გვედგენ ურჩიერებ~~ თხვევამ, რომელმაც ძლიერ შეუწყო ხელი ხალხის აღელვებას. აი რა შემთხვევა იყო ის: რუსეთის მთავრობამ გამოუცხადა გურიის გლეხაკობას, რომ ჩვენ ხაზინას ყოველ წლიურათ კომლზე ფული უნდა აძლიოთო. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, იმისი არ იყოს, ჰასან თავდგომიკესაც ეს უნდოდა: ამ გამოცხადებამ აღ-მურიანი ცეცხლი დაანთო გურიის ხალხის ამ დროს უიშისოთაც აღრინებულს გულში. ამ შემთხვევით ისარგებლა ცბიერმა თავდგომიკემ, აღუთქვა გურიის ხალხს შემწეობა ტყვია-წამლით, თოფ-იარაღით, ჯარით, ფულით და სხვებით და 1841 წელს ააჯანყა ისინი რუსეთის წინააღმდეგ. ჯანყის გამოცხადების წინა თვეებში გურიის ხალხს ჰქონდა ის საიღუმლო მოძრაობა და მზადება—საიღუმლო კრებები, ერთმანეთის დაფიცება და სხვა,—რომლებიც აუცილებლათ საქიროა ჯანყისთვის.

ამ განმარტების შემდეგ მკითხველი, ეჭვი არ არის, მიხედება, რასაც ნიშნავდნენ ის ფიცი და კრება, რომლებიც პირველ თავში მოვიხსენიეთ.

III.

შუა ღამე იყო. პირ-საცხე მთვარე შუა ცილამ ჩამოიყურებოდა. ბესია მიუძღვა თავის ამხანაგებს წყნელით შეგლობილი ეზოის ქისკრებთან და უთხრა:

—ახლა გიორგი დაძინებული იქნება და ძალიან გასაქირი საქმეა იმის ისე გავდიება, რომ სხვებმა არ შეიტყოს. ძალიან საფრთხილო საქმეა, თუ შეგვიტყვეს, ერთი შავილღვი აშენდება. მარა ახლა რაღაი, საქმეზე მოვსულვართ, ხელ ცარიელი უკან წასვლა სირცხვილია. მე შევალ ჩუმათაი ეზოში, თამარას გავადვიებ და შევჩვეწები რამე გვართ გიორგი გვაჩვენოს. თქვენ მანამდი აქნაი მოიცადეთ, მარა ძან ჩუმათაი იყავით, თვარა მურა შეგვიტყობს.

ამის თქმის შემდეგ ბესია კვერნასაებრ ავიდა ლობზე, გადავიდა ეზოში და თვალის დახამამებამდის გაქრა სადღაც.

—მერე იი მურა ბესიას არ ერჩის? იკითხა ივანემ.

—არა, ბესიეი აქნაი შინა კაცია. უპასუხა სიმონ...ემ.

რამდენიმე წამის შემდეგ ბესია დაბრუნდა ამხანაგებთან და უთხრა:

- რავარც იყო ვიშონე, წამობძანდიო.
- მერე იი მურა, ხომ დაგვქამს!
- თქვა ერთმა ბესიას ამხანაგთაგანმა.
- შე დალოცვილო, რუსის ჯარის მოშლას აპირებ და ერთი ლეკვის გეშინია!

გაეხუმრა ამ ფრთხილ ამხანაგს ბესია, რომელიც ამ დროს ხელ-ახლა ავიდა ლობზედ, გადავიდა ეზოში, გაულო ქისკრის კარები თავის ამხანაგებს და შეუძღვა კარგა დიდ ეზოში, რომელშიაც მთვარის სინათლეზე გაარჩევდით, რამდენიმე შენობებს, რომლებში ერთი ფიცრის სახლი ყველაზე დიდი და სუფთა იყო.

—რომელ სახლში უნდა მივიდეთ? იკითხა ივანემ.

—აა, ყრუ სახლში, უწინ რომ სამოახლოთ იყო. უპასუხა ბესიამ და წაუძღვა თავის ამხანაგებს ერთი პატარა ფიცრულა სახლისკენ, რომლის კარებიდან გამობეუტავდა სუსტი სინათლე.

—მოძძანდიო, ბატონებო, მოძძანდიო! გიორგი ახლავე შამოვა. თქვენ ბედზე არ ეძინა, წიგნს კითხულობდა, თვარა

განდიძებს ვერ გავხედავდი. მართალია თვითონ იმისა არ გაჯავრდებოდა, ღმერთმა ჩემი დღეი მიცეს, ძან შმა და დასავით გვემყრობა გოგო-ბიჭებს, მარა სხვები, ქალბატონი და ვაჟბატონი იწყენდენ, რავე გაუბედვე განდიძებო.

— უთხრა იმათ სახლში შესვლის დროს ერთმა შუახნის სიმპატიური სახის ქალმა, რომელიც კარებთან შეხვდა სტუმრებს.
— თამარა, ძაღლებს რა უქენი?

— კითხა ამ ქალს სიმონმა.

— საფარეშოში მქალი დაუტეხე და დავამწყვდიე, — უპასუხა ქალმა და ბოლოს დატანა: — დაბძანდით, ბატონებო, იმისთანა დროზე გვესტუმრეთ, რომ თქვენდა საკადრისათ პატივს ვერ გცემთ. ქალბატონს, ან ვაჟბატონს რომ ეღვიძოს მაშინ ძალიან იამება თქვენი მობძანება და უპურდენოთაც არ გავიშობენ. ძალიან საქმე გქონებიან, რომ ასე დამეგარჯილხართ? დასაწერი იქნება რამე? გიორგის არძის წერა თავის დაკვლასავით ეხარება. ისე მისთვის სულ წერს რაცხას. ხან კიდევ კითხულობს. მოსვენებულს ვერ ნახავ. ხან სულ შუალამზე გადაცილებული იქნება და მაინც ქე კითხულობს, ან წერს. დედაო, უცნაურია, სტავლილი კაცის საქმეს რას მიხთები!

ბესია და მისი ამხანაგები ჩამოსხდენ ტიტველა მტვერით გასვრილ ტახტზე, რომელიც სახლის ერთ მხარეს იდგა. თამარა კი გაჩერდა ფეხზე და ყოველ წამში ჩხირით შეაკეთებდა კრაქს, რომლის სინათლე ხანდახან ისე მიიბუტებოდა, რომ იფიქრებდით ეს არის ქრებაო. სახლში სრული მყუდროება არსებობდა, რადგანაც ყველა ხმა გაკმენდილი მოელოდა გიორგის. გაიარა ამ მდგომარეობაში რაოდენიმე წამმა და გარედამ შემოისმა ფეხის ხმა, რომელზე, გარდა ივანესა და სიმონისა, ყველანი ფეხზე წამოხტნენ. კარები ნელა გაიღო და სახლში შემოვიდა საშველო ტანის, ახლათ წვერ-ულვაშ ამოლილი ყმაწვილი კაცი, — ეს იყო გიორგი, რომელთანაც მოსულიყვენ ბესია და მისი ამხანაგები. რადგანაც ცოტათი გრილოდა, გიორგი შალში გახვეულიყო. მისი სახის სინაზეს ეტყობოდა, რომ გიორგი სათუთათ და ფუფუნებაში აღზრდილი იყო. მის დანახვაზე ივანეც და სიმონიც წამოდგენ ზეზე; ივანემ მოინდომა ძველებურათ სალამზე შეპატიჟება, მაგრამ გიორგიმ დაასწრო მას, „ლამე მშვიდობის“ უთხრა სტუმრებს და ჩამოჯდა ტახტზე. გარდა ბესიასა და სიმონისა, ცოტა არ იყო, სტუმრებმა მოქმუნხეს წარბები ამ „უზრდელობა“-ზე, მაგრამ გიორგის არც ქე შეუნიშნავს ეს, ისე უთხრა თავის სტუმრებს „დაბძანდით! ივანე, სიმონ და ბესია დასხდენ გიორგის ქვემოთ, სხვები კი ზდილობის ნიშნათ გაჩერდენ ფეხზე.

— აბა, ივანე, უფროსი ჩვენ ამხანაგობაში შენ ბძანდები, შენგან არის რიგი, მოახსენე გიორგის, რაზეც ვიახელით.

ივანე, მართლაც, რომ თავის ამხანაგებში თავის თავს უფროს კაცათ რაცხდა, ამიტომ მან შეუპატიჟებლათ მიიღო სიმონის მიერ მიცემული წინადადება, ერთი, როგორც ბევრს ჩვეულებათ აქვს ლაპარაკის დაწყების წინ, ჩაიხველა და უნდოდა რაღაც დაეწყო, მაგრამ ამ დროს დაინახა კარებთან ატუზული თამარა და შეაბრუნა სიტყვა:

— შენ, ცოტა ხანს გარეთ მოიცადე.

— თამარა საჩქაროთ დაემორჩილა ამ ბრძანებას.

— გიორგი, მე ვერ გიცნობდი, — დაიწყო ივანემ ხელახლა, რა რომ თამარა გაისტუმრა გარეთ, — მარა ჩემმა ამხანაგებმა გამაცნეს შენი თავი კაი ნასტავლი ყმაწვილიაო და ამისა მოვედით შენთან რჩევის საკითხავათ... მარა თუ უკაცრავათ არ ვიქნებით ჯერ ფიცი უნდა მოგვეცე, რომ არ გავგაშხელ. გიორგიმ გაკვირვებული სახით შეხვდა ივანეს და უპასუხა:

— თუ ჩემზედ დანდობა გეძნებდათ, შეგიძლიათ არ გამაშხილოთ ჩემთან თქვენი საიდუმლო.

— არა, ნდობა რავე გვეხარება, მარა ქვეყნის საქმე და უფიცრათ გამჟღავნებას ვერ ვხედავთ. გიორგიმ ამ დროს უკვე დაიწყო თქვენი საქმის შესახებ მე რჩევა მკითხოდა, [11] ჩემსხვედრად მე გთხოვთ ისევე მიბძანდეთ და თქვენი საიდუმლო თავისთვის შეინახოთ.

გაიმეორა ამ დროს ნახევრათ გაკვირვებულმა გიორგიმ.

— რჩევა უქვევლათ უნდა გკითხოთ. ფიცი მიიღეთ-მეთქი, ამას ვერც გავიხედავთ და არც საჭიროთ მიმაჩნია.

უთხრა ცქეცის კილოთი ბესიამ.

— ნუ შევაწუხებთ ამდენზე გიორგის, რაზეც მოვსულ ერთ ვკითხოთ და ჩვენ გზაზე წვივდეთ. ან უნდგოთუიჯა რა ღრჩია ამხანაგებს სიმონმა.

— მარტოთ ჩვენი შესახები საქმე რომ იყოს, ამას ვინ გუთუბედვდა! — წამოიძახა ერთმა ქალარა კაცმა, — მარა ქვეყნის საქმეა, დიდი და პაწაი ყველა მონაწილეა ამ საქმეში, ამისა ვხედავთ.

არ ვიცი, ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო გიორგი და უნდოდა შეეტყო რაში მდგომარეობდა თავისი სტუმრების საიდუმლო, თუ ღმობიერებაში მოიყვანა ქალარა კაცის სიტყვამ, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მან უპასუხა თავის სტუმრებს:

— კარგი, ვასრულებ თქვენს სურვილს, მივიღებ ფიცს.

ამ სიტყვებზე ერთმა შევგრემანმა კაცმა, რომელსაც პეტრიას ეძახდენ, ამოიღო უბიდან წითელ მაუდში გაკერილი პატარა ხატი და დაიკავა ხელში. ხატის დანახვაზე ყველამ, გარდა გიორგისა, თავზე მოიხადეს და პირჯვარი გადაიწერეს. ამას შემდეგ ივანემ გადაცა გიორგის ერთი ნაგლეჯი ქალაღდი, რომლისგან ამ უკანასკნელმა ამოიკითხა შემდეგ: — ფიცის თავი, თაკად ღმერთმა, ამის მადლმა, ამის გამაცხოველებლმა, ამ პირ-შეთქმულობაში არ ვუღალატო არც ქვეყანას, არც ჩემს ამხანაგებს, რაც შემიძლია, ვეცადო ჩვენი ქვეყნიდან პეტრის გადგენა. არ დავზოგო ამ საქმისთვის არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესავი და არც ჩემი სიცოცხლე. თუ აგი ფიცი შევშალო, შემშალოს მამამა, ძემა, სულმა წმინდამა და ყოველმა მისმა ანგელოზებმა. ვემთხოვი ხატსა ამასა. ამინ“.

— ვერ გამიგია საქმე რაშია, რა ამხანაგობა შეგიდგენიათ თქვა გიორგიმ გაკვირვებული კილოთი, რა რომ დაასრულა კითხვა.

— ვერ მიხთი? — ჰკითხა ივანემ.

— ვერა, ვერ გავიგე, სწორეთ გითხრა.

— აგერ მოგახსენებ. დღეს ჩვენ ქვეყანას ძან დიდი გასაჭირი ადგია, ჩვენ შინაყმებს გადასახადი და დევს აბა უნამუსობა, ლოთობა, ბოზობა, ქურდობა და რა ფიცი, ვინ მოთვლის, ათასი სხვა შემოიტანეს ჩვენში. მარა დღეს ნამეტარი დაგვემართა და მოთმინება გავგიტეხა, ან ჩვენ უნდა ვიყოთ ამ ქვეყანას და ან ივინო, ასე იძახის დღეს მთელი გურია.

— სტორეთ, სტორეთ, ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან ივინი! — დაემოწმენ ივანეს ამხანაგები.

— ბატონო, ხატს ემთხვევ, უნდგონ რაღაც ცამიოდ უღვათა გაახსენა პეტრიამ გიორგის, და მიუტანა ხატი პირთან სწორეთ იმ დროს, როცა ივანემ შეწყვიტა ლაპარაკი. გიორგიმ მაშინაღურათ აკოცა ხატს. შემდეგ მიუბრუნდა ისევ ივანეს და უთხრა:

— როგორ, აჯანყებას აპირებთ?

— დიახ, თოფის სროლას ვაპირობთ. — უპასუხეს ივანემ და რამდენიმე მისმა ამხანაგებმა ერთხმათ.

(შემდეგი იქნება).

წერილი ჟანევიძან.

იშვიათათ შეხედება კაცი ისეთ პატარა, ლამაზ, სუფთა და სიცოცხლით სავსე ქალაქს, როგორც შენვეა. თუმცა თვით ქალაქი სივრცით დიდი არ არის, მაგრამ მისი მომხიბლავი ბუნება, წმინდა ჰაერი და თავისუფლება, როგორც სიტყვის, აგრეთვე ბექდვის მაგნიტივით იზიდავს ხალხს. რა რჯულის ხალხი გინდა, რომ აქ არ შეგხედეს: ბოლგარელი, ებრაელი, ინგლისელი, იტალიელი, მაკედონელი, გერმანელი, პოლონელი, რუსი, სომეხი, ქართველი და სხ. და სხ... აქაური საზოგადოებაც ააღელვა იმ გარემოებამ, რომ გერმანელებს განუზრახავთ პოლონელთა შეილებს გაგერმანელება, რისთვისაც არავითარ საშუალებას არ ზოგავენ. დააარსეს სასწავლებლები, სადაც სასტიკათ უკრძალავენ პოლონურ ენაზე ლაპარაკს და წრთენიან პოლონელთა შეილებს გერმანელთა ენაზე, მაგრამ როგორ წრთენიან! სახრით, ჩაკეტოს კლასში ცემა-ტყეპით, თავში სისხლის დენით, და კიდევ რა ვიცოი... ამ საუტხოვო პედაგოგებმა თავის მხეტური მეთოდით იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ ბავშვების მშობლები იძულებული გახდნენ ბავშვები გამოეყვანათ სასწავლებლიდან და ეს ამბავი სასამართლომდის მიეყვანათ. ასეც მოიქცენ, მაგრამ რა გამოვიდა! მის მაგიერათ, რომ განაჩენი მიენიჭებიათ მათთვის, მოუსვენს ხელი და სატუსალოში ჩაყარეს სუყველა, სადაც დღემდინ მეტი წილი იმყოფება, შეილებს გამოსარჩლებისთვის. აბა სამართალი და ცივილიზაციაც ამას ქვიან! აქაურებს სხვათა შორის აინტერესებს ებრაელების სეე-ბედიც. ვინ არ იცის რომ ამ ხალხმა ყოველ მხარეში მრავალი ტანჯვა, დევნა, დამცირება გამოიარა მრავალი საუკუნოების განმავლობაში და დღესაც არ მოღებია ბოლო მის შევიწროებულ მდგომარეობას! ამ დევნაში ხალხი გამოფხიზლდა, შეიგნო ცოტათ თუ ბევრათ თავის ინტერესები და შეუდგა სწავლა-განათლების მიღებას. გგონია, რომ ებრაელი ხალხი გამოდის იმ ჯურღმულიდან, რომელშიაც მრავალი საუკუნე დაჰყო და აღგება სწორ უტყუარ გზას, და სწორეთ ამ დროს იღვიძებს მასში ნაციონალიზმი, რომელიც სიონიზმის სახელით ინათლება და წინ ელობება ებრაელთა ხალხის წინსვლას. თუ რას შეიცავს ეს სიონიზმი «კვალის» მკითხველმა უკვე იცის *) და ამიტომ მისი განმარტება მეტათ მიმანია. შეეცები მხოლოთ სიონისტების მე-V-ე კონგრესს. კონგრესი გაიხსნა 1901 წ. დეკემბრის შუარიცხეებში ქ. ბაზელში ექიმი ჰერცლის თავმჯდომარეობით და გაგრძელდა დეკემბრის დამლევამდე. თუ რამდენათ ღირს-შესანიშნავი იყო ეს კონგრესი და საზოგადოთ სიონისტების საშუალებები, მიღებული ებრაელთა სამეფოს დასაარსებლათ პალესტინაში, გვიწვენებს დღევანდელი ზიზლი, გამოწვეული ამ კონგრესით თითქმის ყველა აქაურ ფრანგულ ჟურნალებში, ცოტათი მაინც შეგნებული ებრაელების მხრით, რომლებიც ნათლათ ხედავენ, თუ საით მიყავს სიონიზმს მათი ისედაც ტანჯული მოძმეები. აი სხვათა შორის რას ამბობს ვაზ. „Pro Armenia“-ში ერთი გამოჩენილი ებრაელი ბ. ლაზარი. „სიონისტების“ კონგრესმა ბაზელიდან საქვეყნოთ მიმართა აბდულ-ჰაშიდს პატივისცემის და ქვეშევრდომობის გამოსაცხადებლათ. წარმომადგენლები, ანუ ის პირები, რომლებიც უწოდებენ თავის თავს წარმომადგენლებათ თვით იმ უძველესი დევნული ხალხს, რომლის ისტორია შეიძლება დაიწეროს მხოლოთ სისხლით, უგზავნიან თავის სალამს ყველაზე უარეს კაცის მკვლელს. ისედაც წამებულსა და თავისავე სისხლში მცურავს ხალხს უყრიან ფეხქვეშ იმ სულთანს, რომელიც შედებილია სხვა ხალხის სისხლით და ამ სიონისტების კრებაზე არ ისმის უკმაყოფილება, არ მოიპოება კაცი, რომელსაც ეთქვა ამ ბრძა

ხალხის შეგნებული წინამძღოლებისთვის: „თქვენ არა გაქვთ უფლება გაათახსროთ თქვენი ხალხი“ შემდეგ ხსენებული ავტორი აგვიწერს, თუ რას უქადის სიონიზმი ებრაელთა ხალხს პალესტინაში. ჯერ ვერ მიღწევენ—ამბობს ავტორი—სიტები თავის მიზანს, რადგან სულთანს ძალიანაც რომ უნდადეს, პალესტინის მიცემა არ შეუძლია და მას სურვილიც არა აქვს დღეს დღეულობით, ხოლო კიდევ რომ მიღწიონ, შიმშილი ამოწყვეტს, სხვა არა იყოსრა ებრაელ ხალხსა და სხ. წერილს ათავებს ავტორი შემდეგი სიტყვებით: „განებრივი და ზნეობრივი განვითარება ებრაელებისა—აი მიზანი, რომლის სისრულეში მოყვანას უნდა ელტვოდეს ყოველი შეგნებული ებრაელი. ხოლო ამის სისრულეში მოსაყვანათ საქროა პირველათ ებრაელების ფანტიკოსობისა და უმეცრებისგან განთავისუფლება; საქროა აგრეთვე მათი დახსნა ეკონომიური მონობისაგან და თავის განთავისუფლების დღეს ეს ხალხი თავის თავათ შეძლებს განაგოს თავის ბედობლათ“. სრულებით ვეთანხმებით ხსენებულ ავტორს და მასთან ერთათ ვუსურვებთ ებრაელთა ერს, რომ აცილებოდეს იმ ხიფათგზას, რომელსაც მისი ერთი ნაწილი დადგომია დღეს, და შედგომოდეს უფრო სწორსა და უტყუარ გზას!

ქაროველი ქალი.

პიროვნება და საზოგადოება.

I.

თუმცადა სოციოლოგიის მამამთავრათ უნდა ჩაითვალოს ოგიუსტ კონტი, რომელმაც უჩვენა ზოგიერთი ზომები მისი განვითარებისა, თუმცადა მის შემდეგაც ბევრმა მეცნიერმა შეამუშავა ეს თუ ის კითხვები საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მაგრამ მაინც სოციოლოგიას, როგორც ნამდვილ მეცნიერებას, აქ ჩვენ ვერა ვხედავთ. ამგვარი ნიადაგი მისთვის შეამუშავეს მხოლოთ მარქსმა და ენგელსმა... ჩვენ აქ გვექნება ლაპარაკი მხოლოთ „პიროვნებაზე და საზოგადოებაზე“.—დღიდანვე სოციოლოგიის გაჩენისა დაიბადა კითხვა: რა უნდა ქონდეს საგნათ ამ მეცნიერებას? რაზე უნდა იკვლევდეს ის ამა თუ იმ გვარ შეხედულებას?

ამ კითხვამ პირველათ გამოიწვია ინდივიდუალისტური თეორია, რომლის მოსაზრებით სოციოლოგიური კვლევა-ძიების საგანს შეადგენს საზოგადოება, მაგრამ მასთან სოციოლოგიას არ აქვს პირველი და უკანასკნელი კავშირი; რათა? იმი-სათვის, რომ—ამბობს ეს თეორია—თვით საზოგადოება შედგება ერთგვარი უცვლელი ელემენტებისაგან—ეს არიან მისი წევრები, რომლებიც ერთათ შეადგენენ საზოგადოებას და, მაშასადამე, პირდაპირი საგანი სოციოლოგიისა არის საზოგადოება კი არა, როგორც ამგვარი, არამედ მისი წევრები—ინდივიდები. ამ უკანასკნელთა ცხოვრების შესწავლა-განვითარების პროცესში არის იგივე საზოგადოების კვლევა-ძიება და მეტი არაფერი. მაშ, ინდივიდი და მისი შესწავლა შეადგენს მთელი სოციოლოგიის შინაარსს. ინდივიდით შესწავლა საზოგადოებისა—აი პირველი და უკანასკნელი მიზანი სოციოლოგიური კვლევა-ძიებისა. როცა ამგვარ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ინდივიდუალისტური თეორია, მას ყოველ წამს ქონდა მხედველობაში, რომ საზოგადოება თავის თავათ განყენებულ მცნებას წარმოადგენს, ინდივიდები კი არიან რეალური ობიექტები, რადგანაც მხოლოთ ისინი გრძნობენ, მხოლოთ ისინი ფიქრობენ, მოქმედობენ და სხ.. ამით უნდადა მას კვლევა-ძიება მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე დაეწყა. მაგრამ ეს ასეა? ეს კი ასეა, მხოლოთ ის ცდებოდა ამ მოსაზრებით და ცალმხრივ დასკვნამდე მიდიოდა, რადგანაც (თუ კი უკიდურეს რეალიზმშია საქმე) თვით ეს ელემენტი საზოგადოებისა არ წარმოადგენს აბსოლიუტურ ერთეულს და, მაშასა-

*) ა. ჩხენკელი. „ქარაველი ეროვნული მოძრაობა“ „კვალი“ № 15 და 16, 1900 წ.

დამე, არც უკიდურეს რეალურ ობიექტს... წარმოვიდგინოთ ევოლიუციონურ-ნატურალური თეორია, როგორ არღვევს ის ამ ილლიუზიას. კაცი, როგორც ამნაირი, არ არის ასე ერთხელ და საყოველთაოთ გაჩენილი: მისი ყოველი ნაწილი სხეულისა, მისი ყოველი ორგანო, მისი ესა თუ ის თვისება, მიდრეკილება, ხასიათი, ერთი სიტყვით, ყოველი მისი ატომი არის ნაყოფი მრავალ ხნის გარდაქმნის პროცესისა. ფიზიოლოგიამ უკვე დაამტკიცა, რომ კაცის ორგანიზმა წარმოადგენს შეერთებულ კავშირს დამოუკიდებელ ორგანოებისას; ორგანიზმულათ მის სხეულში აბსოლუტიურ ერთფუნქციონარობას მხოლოდ უჯრედები, მაგრამ ესენიც კოტაოდნათ, რადგანაც, რომ ვაგავრძელოთ ეს ანალიზი, ამგვარ ერთფუნქციონარობა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ქიმიურ ატომები, რომლებსაც ასე თუ ისე დამოკიდებულია თვით უჯრედების ყოფა-ცხოვრება.

ამგვარათ, ინდივიდუალისტური რეალიზმის თანდათანობით გამოდის, რომ სოციოლოგიაში კვლევა-ძიების საგნათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ თვალუხილავი ატომები და მეტი არაფერი. მაგრამ ამგვარი კვლევა-ძიება მოუტანდა რასმე სოციოლოგიას? ასედაც არ იყოს, ინდივიდუალისტურ თეორიას სულ სხვაგვარი უმთავრესი შეცდომა ქონდა. ის ამტკიცებდა, რომ ინდივიდების ცხოვრება ცალ-ცალკე და მათი შეერთებული ცხოვრება საზოგადოებაში ორივე ერთი და იგივეა, რომ ინდივიდების ცალ-ცალკე ცხოვრების შეერთება შეადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგრამ ეს ასეა? არა და ათასჯერ არა... ინდივიდუალური ცხოვრება საზოგადოების ელემენტების თავისი შეერთებით ვერა დროს ვერ წარმოგიდგენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მაგ., რომელი საზოგადოების წევრები გინდათ წარმოვიდგინოთ ცალ-ცალკე, ჩვენ მაშინვე აღვნიშნავთ მასში ევოლუციურ მიდრეკილებას შექმნისადმი; მაგრამ შეგვიძლია ჩვენ თუ არა წარმოვიდგინოთ, თუ რა ფორმებს მიიღებს ეს მათი მიდრეკილება? თუ კი ვიცით, რა საზოგადოებრივი ურთიერთობანი სუფევს მათში ამ განსაზღვრულ ხანაში, — მაშინ კი. მაგრამ თვით ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი რომ მოითხოვენ განმარტებას! რითი გავთვალისწინოთ ეს! აი, აქაა კიდევ პირველი და უკანასკნელი კითხვა სოციოლოგიისა! თუმცა შესაძლოა რომელიმე წევრის ცხოვრებით ცოტათ თუ ბევრათ წარმოვიდგინოთ რომელიმე საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ მაშინ ეს წევრი უნდა განვიხილოთ არა როგორც კერძო პიროვნება, არამედ როგორც წევრი განსაზღვრული საზოგადოებისა; უნდა განვიხილოთ მისი ცხოვრება, როგორც ტიპური გამომეტყველება საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ესე იგი, მისი დამოკიდებულება ყველა სხვა წევრებთან, ანუ მთელ საზოგადოებასთან და, მაშასადამე, ეს კვლევა-ძიება ბოლოს ხომ მაინც საზოგადოებრივ ურთიერთობისაკენ იქნება მიმართული. ასე თუ ისე, საითაც კი უნდა მივმართოთ, ყველგან საზოგადოებრივი პირობები დაგვხვდება წინ.

ამგვარათ, საზოგადოებრივი ცხოვრება სულ სხვაა, მას აქვს თვისი განსაკუთრებული ელფერი, თვისი სპეციფიური თვისება-ხასიათი. ამას ნათლათ გავითვალისწინებთ, თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოების წარმოშობის პროცესს. თუმცა ისტორიამ არ იცის ვერცერთ წოდებული „რობიზონადული“, ერთეულ განმარტებული ცხოვრება ადამიანისა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია პიპოტეტიურათ მაინც წარმოვიდგინოთ ამგვარი ცხოვრება. ამნაირა სიკოცხლევ ძლიერ ძნელი ასატანი იქნებოდა კაცისათვის, რადგანაც მას ყოველ წამს მოელოდა გაჭირვება სიკოცხლისათვის ბრძოლაში. ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ, მან ინსტიქტიურათ მიმართა თავის მზგავსებს, რომელთაც ახლა ერთათ უნდა გავწიათ უღელი სიკოცხლისათვის ბრძოლაში. აი, აქ გაჩნდა ჩანასახი აწინდ-

ლი მეტათ რთული საზოგადოებისა: პირველათ, რასაკვირვებელია, პატარ-პატარა ჯგუფები, მერე მათი შეერთებანი და სხ. სიკოცხლისათვის ბრძოლამ გამოიწვია კაცში ამნაირი გაჭირვება განმარტებული ცხოვრებისა და მანვე უჩვენა გზა მან ამგვარ შეერთებაში, რაც თავის თავათ, ინსტიქტიურათ ხდებოდა. პირველ ხანებში ამგვარი შეერთება-შეთვისება არ იყო მტკიცე და მაგარი, ამისათვის თვით მის შემადგენელ წევრებსაც შეეძლოთ მისი დარღვევა, მაგრამ დროთა ვითარებაში ამგვარი შეერთება თანდათან უფრო საჭირო ხდებოდა ადამიანისთვის და მით ის თანდათან უფრო ვითარდებოდა, მაგრდებოდა. ყოველი წევრი ამა თუ იმ საზოგადოებისა იძულებული იყო გამსჭვალულიყო საერთო ინტერესებით; ყოველი წევრი, მაშასადამე, თანდათან უფრო დამოკიდებული ხდებოდა ყველა სხვა წევრებისაგან, ყოველი ამ უკანასკნელთაგანიც დამოკიდებული ხდებოდა ერთიმეორისაგან ისე, როგორც სხვა და ასე ამნაირათ. ასე, რომ თვითონ ის შეერთება ინდივიდებისა, რომელიც თვით ამ უკანასკნელთაგან იყო წარმოშობილ-განვითარებული, ახლა — ასე რომ ეთქვათ — ისე განზე გადაა, რომ თვით წევრებსაც არ შეეძლოთ მისი დარღვევა; თუ კი რომელიმე დარღვევდა, მას ადრე თუ გვიან აუცილებლათ სიკვდილი მოელოდა. რამდენათაც უფრო ვითარდებოდა ცხოვრების პირობები, იმდენათ უფრო ვითარდებოდა ამგვარი საზოგადოება, რომელიც თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე დამოუკიდებელი გახდა თავისივე შემადგენელ-წარმომშობელ წევრთაგან. თუ რა ნაირათ დამოკიდებულია ყოველი წევრი თვისი საზოგადოებისაგან, ამას ნათლათ ვვისახავს ანალოგია ორგანიზმისა. (ჩვენ სრულიად არა ვართ მომხრე ვერცერთ წოდებული ორგანიზმი თეორიისა და არც ვცხებით მის უკიდურესობას. ჩვენ ვხელმძღვანელობთ მით, როგორც მოხდენილ ანალოგიით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ასურათებს არსებულ სინამდვილეს). ყოველი ნაწილი ცოცხალი ორგანიზმისა დამოკიდებულია ყველა სხვა ნაწილებისაგან, ე. ი., თვით ორგანიზმისაგან: საკმაოა ერთი რომელიმე მათგანი შეფერხდეს, რომ სხვას აგრძნობიოს, კვალი დააჩნიოს. აქ არის ორგანიზმი კავშირი. ამის თანაბრათ საზოგადოების ელემენტებში არის ფსიხიური კავშირი: ყოველი წევრი დამოკიდებულია ყველა სხვათაგან, ყველა — ერთიმეორესაგან, ასე, რომ ერთის მოქმედება ყოველთვის ზეგავლენას იქონიებს სხვაზე და სხე. ცოცხალ ორგანიზმში ზოგი ნაწილები კვდება, ზოგი მის ალაგას ჩნდება; მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ მისი ნაწილები ყოველთვის იცვლებიან, თითონ ორგანიზმი ერთი და იგივეა. ასეთია საზოგადოებაც: ზოგი მისი წევრი კვდება, ზოგი მის ალაგას იბადება, ასე რომ მისი ნაწილები თანდათან იცვლებია, თუმცა თვითონ საზოგადოება ისევ იგივეა. ვინც უნდა გაჩნდეს ახალი წევრი, ყველამ უნდა მიიღოს ის განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც შერგავს თავს დღიდანვე გაჩენისა.

აი, ეს არის დამოუკიდებლობა საზოგადოებისა; ეს არის მისი სპეციფიური თვისება-ხასიათი. ამ შეხედულებაზე ჩაიღვა ის ქვა-კუთხედი, სადაც მაგრათ მოიკიდა ფეხი სოციოლოგიამ, რომელმაც თვისი კვლევა-ძიებით მიმართა არა ინდივიდებს, არამედ საზოგადოებას და ამ საზოგადოებრივი ცხოვრებით დაიწყო ახსნა თვით ინდივიდუალურ ცხოვრებისა.

გრ. რობაქიძე.

მეაბრეშუმეთა საქარადღებოთ
(წერილი სამტრედიიდან)
დიდ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მეტოქეობა კერძო აბრეშუმის მოვაჭრეებთან. — საჭიროა თუ არა დაარსდეს „ოვით მომწვევლთა ამხანაგობები“?
ჩვენებური დიდი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა და მასზე კალთის გადამფარებელნი უსაყვედურებენ ადგილობრივ ინტელი-

გენციას და „გადაჭარბებულ ქირისფულათ“ უწოდებენ ყველა მათ, ვინც იმათ უთავბოლო მოქმედების შესახებ კრინტს დაძრავს.

ჩვენა გვეგონია, და დარწმუნებულიცა ვართ, რომ ყოველი ადამიანი, მეტადრე ინტელიგენცია, ზნეობრივით მოვალეა თვალ-ყური ადევნოს ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ მიმდინარეობას და მისი კეთილ-დღეობის ხელის-შემშლელ შემაფერხებელი, მიმალულ-მიჩუმებული მიზეზები გამოააშკარავოს, დროზე იზრუნოს, რომ ქრილობის მალამო მანამ უპოვოს, სანამ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „დაფარული ქირი მოკლავდეს“. ვინც ვასრულვით ჩვენ მოვალეობას და ჩვენი წერილის სათაურში დასმული კითხვების შესახებ ჩვენ აზრს გაუზიარებთ მკითხველებს.

რომ უფრო გავითვალისწინოთ დიდი ამხანაგობის მოქმედება, საჭიროთ ვრაც მოვავაგონო მკითხველთ რამდენიმე კორესპონდენცია ამ საგნის შესახებ.

1897 წლის «ცნ. ფ-ლის» № 631-ში კორესპონდენტი ლაპარაკობს: «თავიდან აცილების მაგიერ, უფრო გაამრავლო დიდმა ამხანაგობამ ჩარჩი ვაჭრები, ასე, რომ ვინც კი შესძლო ორი-სამი თუმნის მოგროვება და შეიტანა ამხანაგობაში, ამათ დღეს პირველ ჩარჩი-ვაჭრებათ ვხედავთ. მათ გამოაქუთ ამხანაგობიდან აბრეშუმის თესლი და არიგებენ საწყალ აბრეშუმის მომწვევლებზე, რომლითაც ჯერ უნდა მოიგოს ამხანაგობამ და მერმე იმ «წვევებმა», რომლებიც ჩარჩი-ვაჭრებათ გადაქცეულან და ერთი ხუთათ უნდა მიიწყონ საწყალ აბრეშუმის მომწვევლებთაგან».

1901 წლის «კვალის» № 25-ში: ერთ-ერთი იმედი და ფასების ამწევი აბრეშუმის პარკისა ქუთაისის გუბერნიაში ამხანაგობა უნდა ყოფილიყო, რაც მისი დანიშნულებაა, მაგრამ წელს რაღაც მიზეზით მომწვევლებს ვერ მიაწოდა მონაწევარის ღირებულები ფასი და თითქმის დაკლებულ ფასათაც ყიდულობდა. ამხანაგობის გამგემ თავის აგენტებს 8 მ. ზევით პარკის ყიდვა აუკრძალა, მაშინ, როდესაც კერძო მოვაჭრეები 10-11 მ. და მეტათაც ყიდულობდნენ».

ამავე წლის „ივერიის“ № 124-ში ვკითხულობთ: «ნათქვამი რომ არის: «თავათ არ იყო ძმარია, შიგ გაუტრის წყალი», სწორეთ ასე დაემართა აბრეშუმის მომწვევლთა ნაწარმოებს. „კუხის ამხანაგობის“ მიერ პარკის ფასის გამოცხადებამ (ფუთ. 8 მან.) ისევ კერძო მოვაჭრეები ასარგებლა».

კიდევ ამავე წლის „ცნ. ფ-ლის“ № 1483-ში: «ვერ მოიქცა კარგათ მეაბრეშუმეთ: პირველი ამხანაგობა: მის მაგიერ, რომ ამ გაჭირვების (აბრეშუმის მოუსაველობის) დროს დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეებს და პარკის ღირებულები ფასი გამოაცხადოს, განცხადებებს აკრავს სოფლებში, რომ წელს 8 მან. ზევით არ შეიძლება ფუთ პარკში მიცემა».

როგორც ჩანს ამ მოყვანილ კორესპონდენციებიდან, ჩვენებურ ამხანაგობას ჯერ კიდევ ვერ მიუხწევია თავის მიზნისათვის. ჩვენ არამც თუ გვეგონა, პირიქით დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ამხანაგობები, როგორც შეერთებული ძალნი, ჯეროვან მეტოქობას გაუწევდნენ კერძო და ჩარჩი-მოვაჭრეებს და იმათ სინსილას გაუწყებდა ჩვენს სოფელ-ქალაქებში. საუბედუროთ, ეს ასე არ მოხდა და, რაც უმეტესათ სამწუხაროა, უფრო გაამრავლა ისინი, რამაც, როგორც ყველამ კარგათ ვიცით, დიდათ აზარალა აბრეშუმის მომწვევლები. ვასული სამი წლის განმავლობაში ამხანაგობა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, პარკი იათათ ეგდო ხელში, მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო ღირებულები ფასი მიეწოდებინა მომწვევლთათვის. სისწორით რომ ვთქვათ, კერძო მოვაჭრეებმა უფრო ასარგებლა მომწვევლები, ვიდრე ამხანაგობამ. 1900 წელს იმ მომწვევლებმა, რომელთაც იგულისხმეს ანდაზა: «დღევანდელი კვერცხი

მირჩენია ზეალინდელ დედალსო» და ნალ ფულათ (14—16 მან-მდე) მიყიდეს თავიანთი ნაწარმოები კერძო მოვაჭრეებს, კიდევ ისარგებლეს, ხოლო ისინი, რომელთაც ვაჭრებთან (16 მან.) დაუტოვეს პარკები ამხანაგობის დაწესებულებაში 10 მან., დანარჩენი 6 მან. გადამჩხვალ პარკის გაყიდვის შემდეგ უნდა მიეღოთ, აი დღეს რას გაიძახიან: „დავიღუპეთ, შარშანწინ პარკი 10 მან. შეგვექნა ამხანაგობაზე მიყიდული, როდესაც კერძო მოვაჭრეები ბევრათ მეტს იძლეოდნენ. ამხანაგობამ ზარალი გამოაცხადა და იმ 6 მ-დან ჯერ კაპიკიც არ მიგვიღია და აწიცი მივიღებთ თუ არა, ალლახა უწყისო“. 1901 წელს კი, რაღაც მიზეზის გამო, პარკის 8 მან. ხელთ გდება მოინდომა. წინა წლის გულ-გატეხილი, წელს უფრო დაფრთხა მომწვევლები; ნელ-ნელა შემოეცალა წვერი ამხანაგობას და თავიანთი ნაწარმოები კერძო მოვაჭრეებს მიუტანა, რომლებიც სიხარულით აძლევდნენ ფუთ პარკში 10—14 მან. და მეტსაც. მაგრამ არც ეს იმედი იყო ხანგრძლივი; გაიგეს თუ არა კერძო მოვაჭრეებმა ამხანაგობისაგან პარკის დაცემული ფასის გამოცხადება, მათაც დაუწიეს ფასები და ცდილობდნენ თავიანთი პარკის სავაჭროები ამხანაგობის სიახლოვეს გაემართათ (აქ პარკი იათი იყო, ვიდრე ამხანაგობაზე დაშორებით), რომ პარკი უფრო იათათ ეგდოთ ხელში. ამნაირმა დიდი ამხანაგობის კერძო მოვაჭრეებთან მეტოქობამ დიდი ზარალი მოუტანა მომწვევლებს, რადგან თითქმის ერთი მესამედი ადგილობრივ მოწვეული პარკებისა 8 მან. გაიყიდა, და თვით ამხანაგობასაც, რადგან ვერ შეძლო საკმაო პარკის შეგროვება; შესაძლებელიც იყო წელს ამხანაგობა სულ უპარკოთ დარჩენილიყო, რომ მის მიერ გამოცხადებულ ფასზე ბევრათ მეტ კერძო მოვაჭრეების ფასებს არ აყოლოდა.

რა მიზეზია, რომ შარშან ამხანაგობამ პარკის ნიორ-ნაქურჩალის ფასათ ხელთ გდება მოინდომა, ნუ თუ წინაწელს მართო ამხანაგობამ იზარალა და არა კერძო მოვაჭრეებმა, რომ ისინი ახლაც კარგ ფასებს იძლეოდნენ პარკში? მიზეზი თვით ამხანაგობა, მათი უთავბოლო მოქმედება და გადაჭარბებული ხარჯებია. მიუხედავათ ამხანაგობის უთავბოლო ხარჯებისა, ამხანაგობის გამგის და მისთანათა წლიური ხარჯები 3-4 თვის აბრეშუმის თესლის და პარკის ყიდვა-გაყიდვამ უნდა დაფაროს, მაშინ როდესაც კერძო მოვაჭრეები თესლის და პარკის ყიდვა-გაყიდვის დაწყებიდან ფარავენ თავიანთ ხარჯებს. ე. ი. ამხანაგობას მთელი 9 თვე ტყუილ უბრალა ხარჯი აქვს და აბა საკვირველიც არ არის საქმე ისე წავიდეს, რომ ზოგჯერ სამი თვის ვაჭრობამ მთელი წლის ხარჯები ვერ დაფაროს. რასაკვირველია კერძო მოვაჭრეებს ნაკლები ხარჯი აქვთ და ამისათვისაც პარკში უკეთეს ფასს იძლევიან ვიდრე ამხანაგობა. აქედანვე წარმოიღვა ის გარემოება, რომ მომწვევლებს იქ მიაქვთ თავიანთი ნაწარმოები, სადაც უფრო სარგებლობას ხედავენ ე. ი. კერძო მოვაჭრეებთან და ამხანაგობა კი შედარებით ხელცარიელი რჩება. როგორც ჩანს არამც თუ ამხანაგობა უწევს მეტოქობას კერძო მოვაჭრეებს, არამედ ეს უკანასკნელები პირველს და თუ ამ რიგათ გაგრძელდა საქმე, მაშინ... ამ აქტემების ახირებულ ჩხუბში კოზაკებს კი სული ბთება და...

ამ გარემოებისათვის მიუქცევია ყურადღება ბ. ი. ქუთათელაძეს და 1901 წლის „ცნ. ფურ.“ № 1671-ში მოთავსებულ თავის წერილში სხვათა შორის გამოთქვამს აზრს: «საჭიროა პირობის ძალით ვალდებული იქმნას ყოველი წვერი ამხანაგობისა, რომ მათ თავისი ნაწარმოები უქვევლათ ამხანაგობას მიუტანოს და არა კერძო მოვაჭრეებს». ეს აზრი საფუძვლიანი იქნებოდა შერყეულ ამხანაგობის გამაგრებისათვის იმ შემთხვევაში თუ რომ ეს უკანასკნელი იმდენ ფასს მაინც აძლევდნენ მომწვევლებს პარკში, რამდენსაც კერძო მოვაჭრეები.

მაშინ არც პირობა და არც ჯარიმა მათ დამარდვეველთათვის საჭირო აღარ იქნებოდა... ახლა კი როგორ ვუსაყვედუროთ მომწველებს ამ შემთხვევაში, ან რა უკლება გვაქვს ვაძულოთ თავისუფალი მუშაკი გვერდი აუაროს სარგებლობას და თავისი ნაღვაწ-ნადაგით ზარალისაკენ გაეშუროს?! მე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ამ გვარი პირობა წასულ წლებისაგან დაშინებულ წევრებს უფრო დაფრთხობს, დააშორებს ამხანაგობას და ცუდ ექვეს დაუბადებს ამხანაგობის მოქმედების შესახებ.

ამ ნაირათ ჩვენი მოლოდინი ამხანაგობის შესახებ არ მართლდება და ზოგჯერ შეღავათის მაგიერ ზარალიც მოაქვს მომწვეველთათვის. ამავე მიზეზმა და 1897 წლის აბრეშუმის მომწვეველთა გაჭირვებამ გამომათქმევინა აზრი «თვით მომწვეველთა ამხანაგობების» დაარსებისა სოფლებში, რომელსაც ვთვლი დიდი სარგებლოთ მომწვეველთათვის. მკითხველთ მივუთითებ 1897 წლის «ცნ. ფურ.» № 244-ზედ, რომელშიაც მოთავსებულია ეს ჩვენი აზრი. ეს წერილი შემდეგ 1898 წლის „ცნ. ფურ.“ № 417-ში განმარტა ბ. ივანდიდელმა, რომელიც თავის წერილში საჭიროდ და სასარგებლოთ რა კხს ხსენებულ „თვით მომწვეველთა ამხანაგობების“ დაარსებას და ამ აზრის განხორციელებას ავალებს სოფლის ინტელიგენციას, მაგრამ საუბედუროთ ეს ხმები დღემდის დარჩენილა „ხმათ მალაღებელისა უდაბნოსა შინა“.

ხსენებული თვით მომწვეველთა ამხანაგობის დაარსება დიდ გასაჭირს არ წარმოადგენს მომწვეველთათვის. საჭიროა მომწვევლებმა ერთმა ან რამოდენიმე სოფელმა ერთათ შეიძინონ პარკის გადასახრჩობი მანქანა და გადასხჩვალი პარკის გასაშრობი ფარდულები. შეძლება ექნებათ თითონ შეიძინოს თესლი ცნობილ ფირმებისგან, აგრეთვე თვითეულს წევრს შეეძლება თითონ გადაარჩიოს თავისი ნაწარმოები საამხანაგო პარკის სახრჩობში და ადრევე პარკის სიმძიმის რაოდენობის საამხანაგო დავთარში აღნიშვნის შემდეგ დაყაროს პარკი გასაშრობათ და შესანახათ საამხანაგო ფარდულში, მინამ რომელიმე კაპიტალისტი მოვიდოდეს და იყიდდეს.

სწორეთ ასეთივე ამხანაგობას წარმოადგენენ ჩვენში კერძო მოვაჭრეები: იმათ დაქირავებული აქვთ აქ ფარდულები, ყიდულობენ ადგილობრივ პარკებს, გადასახრჩობენ და აგვისტოში აქვე ჰყიდიან კაპიტალისტებზე (ამ ნაირ კერძო ამხანაგობამ ადგილობრივ მცხოვრებლებშიაც იჩინა თავი). მათ უჯდებათ ფუთი ნედლი პარკი ერთი მეორეზე 13 მანეთათ, მაშასადამე გამხმარი 39 მანეთათ, თითონ კი ჰყიდიან კაპიტალისტებზე (ჩილინგერიანი ხითაროეა და სხვებზე). 49—52 მანეთათ მაშასადამე ფუთ ნედლ პარკზე ისინი გებულობენ არა ნაკლებ 3 მანეთისა. ჩვენგან დასახელებული „თვით მომწვეველთა ამხანაგობების დაარსებით ეს მოგება თვით მომწვევლებს დარჩებათ, ჩვენში ისეთი მცირე თვით მომწვეველთა ამხანაგობა არ დაარსდება, რომ 1000 ფუთი ნედლი პარკის შეგროვება ვერ შეძლოს, მაშასადამე ხსენებულ ამხანაგობას მეტი თუ არა 3000 მანათი მოგება დარჩებათ, რომელიც დღეს კერძო მოვაჭრეების ხელში რჩება და ეს კი დიდ დოვლათს შეადგენს მომწვეველთათვის. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ $\frac{2}{3}$ ჩვენი პარკებისა ჩარჩების ხელიდამ მიდის კერძო მოვაჭრეებთან, რის გამო ჩარჩები თავის მხრით გებულობენ მომწვეველთაგან. ჩვენგან დასახელებულის „თვითმომწვეველთა ამხანაგობის დაარსებით ეს მოსაშუალებ ჩარჩები არ იქნებიან საჭირო და მათი სახვეუც მომწვევლებს დარჩებათ და არც ბ. ნ. წერეთლის ახალი საშუალება პარკის ბანკში გადავირავების მეოხებით. ეს ხსენებული პარკის გადავირავება, ჩემი აზრით მეტ ზარალს მოუტანს მომწვევლებს, რადგან გარდა ამხანაგობისა, გარდა კერძო მოვაჭრეებისა და ჩარჩებისა, რო-

მლებიც იკვებებოდნენ მომწვეველთა ნაღვაწზე მოგებული ფულით, ეს ბანკი ვახდება მესამე დსტანციით, რადგან ამხანაგობამ ბანკს პროცენტი უნდა აძლოს და ეს ნაღვაწისა და საწყალ მომწვევლების კისერმა უნდა ზღოს.

მოსალოდნელია, რომ არც ჩვენ ავცდეს «გადაქარბებული ქირისუფლის სახელი, რომელზედაც ამ ჩვენი წერილის შესავალში მოვიხსენიეთ, მაგრამ ჩვენ მაინც იმაზრისანი, ვართ, რომ ეს მოხსენებული „თვით მომწვეველთა ამხანაგობები“ სრულიათ მოსობენ იმ ვაჭრებთან ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც უმთავრეს მექარხნის (მეპარკე და მეთესლე) და მომწვეველთ შუა ვარჯიშობენ და ამ უკანასკნელთა ნაღვაწ-ნადაგით ძალზედ ჯიბებს ისქელებენ.

დასასრულ — ვაჯალებთ მკითხველთ და საქმის სპეციალისტებს გაარჩიონ ეს აზრი და თავიანთი მსჯავრი წარმოთქვან მის ავკარგიანობის შესახებ.

ა. მირიანოვი.

სამშობლოს ცასე.

ჩვენი „სამშობლოს ცის ქვეშე“ გაფურჩქნილ თფილის ვერავინ დაწამებს უკან ჩამორჩენას, უსაქმობას, უზრუნველობას და „უზროგრესობასაც“ კი!

აი თუნდა აიღეთ ამავე თფილისის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორი! არ ვიცი „სამშობლოს ცამ“ აგონა თუ სამშობლოს დედა მიწამ, როდესაც ის 27 იანვარს მიბრძანდა ავლაბრის ღარიბ ხალხისთვის გაკეთებულ აბანოში. იმ აბანოში, რომლის ზემო სართულში მოთავსებულია საქალაქო სამკურნალოც. დიახ, მიბრძანდა მაგრამ მიბრძანებას შებრძანებაც უნდოდა, და სწორეთ აქ გაუჩნდა გასაჭირი და სატანჯველი! ხუთმა ნიჩაბმა და ათმა „პოლსკამ“ ძლივს გაწმინდეს აუზებისაკენ გზა და ამის შემდეგ იხილა მხოლოთ თურმე ბატონმა ინსპექტორმა, რომ თვით ამ აუზებსაც სჭირათ გაიგზავნენ რომელსამე უფრო კეთილ განწყობილ აბანოში გასაწმენდათ, გასასუფთავებლათ და კეთილ სახიერებაში მოსაყვანათ. ეს ნახა ინსპექტორმა ათ-თორმეტ წლის განმავლობაში ძლივს ერთხელ, მაგრამ მასხედავდა ყოველ დღე ქალაქის ექიმში, რომელიც სულ ერთი არშინის სიმალღებზე ცხოვრობს ამ აბანოდან. მაგრამ ახლა ავლაბარში ყველაფერი ბუნდათა სჩანს, რომ არც მას უნდოდა შეენიშნა ცხვირწინ ამართული იაღბუზი ტალახისა; ტალახისა, რომელიც დაუნიშნავს ჩვენ თფილისის ღარიბთა სარჩენათ და სამკურნალოთ. მაღლონა ღმერთს, რომ იმავე ინსპექტორის წყალობით მიუქედნიათ დღეს კარები, საქველმოქმედოთ იმ საიქიოსაკენ გამგზავნ აბანოსთვის, თორემ კეთილ სინდისიანი ექიმი კიდევ დიდხანს შეინახავდა ამ ტალახს ღარიბთა ფრთასა ქვეშე თვისსა.

* *

არა ნაკლები მზრუნველობა გაუწია ამავე ქალაქის თფილ მართველობამ უსახლკარო ღარიბებს. ჯერ იყო და შარშან ჩამოკიდა კლიტე თავშესაფარ სახლებს, და დატოვა ცის ქვე რამდენიმე უბედური; წელსაც არ შეცვლია მას ამ მხრით ბუნება, და აგერ ამ დღეებში იმავე გამგეობამ აღძრა კითხვ დროებით დაიხუროს ღამის თავშესაფარი სახლებით.

როგორც შარშან ისე წელს მისი გულმავიწყობა ყოფილა მიზეზი. შარშან დაავიწყდა სახლების „რემონტი“ და წელს კი, ის რომ, სახლების იჯარას ვადა გადიოდა და სახლის პატრონები კი თავისას მოითხოვდნენ ან ხელ ახლა და ქირავებას, ან მდგმურების გარეთ გამორეკვას. არ ველოდით სწორეთ არ ველოდით ჩვენი გამგეობისაგან ამისთანა უზრუნველობას, მერე ისიც მაშინ როდესაც 1902 წელი პატივც მულმა დაწესებულებამ ქველმოქმედებით დაიწყო. ეს ღირს შესანიშნავი ქველმოქმედება აღინიშნა ქალაქის თავის

გილის ბ-ნ შესტაკოვის ბრძანებით, რომლითაც მან უწყალობათ ქალაქის თვით მართველობაში მოსამსახურე პირებს ჩაი ქალაქის ხარჯზე და ქალაქის ჯიბიდან. მოდი და ამის შემდეგ ნუ იტყვი "ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს თუ მეორე არ წაწყმიდოსო!"

მთელი წარსული წელიწადი სხვა დარდას და ვარაშ შორის ბაქოელ მილიონერებს ერთი საზრუნავი კიდევ გამოუჩნდათ. ეს საზრუნავი საგანი იქაური „კანტორჩიკები“ გახლდნენ. გულ ღმობიერმა ბატონებმა ბევრი ცრემლი დაღვრეს მათთვის, ბევრი შემოიკრეს გულში, რა ღმერთი გაგვიწყობს რათა ვცოდავდით და რათა გვყვანდა ჯოჯოხეთში ამდენ ხანს ამოტელა ხალხიო. ცოდეა გამოიყიდეს! გადაწყვიტეს „კანტორჩიკებიც“ ადამიანთა რიცხვში ჩაერიცხათ, და ამ დღიდან ისინიც გაათანასწორეს უფლებით თავიანთ ფაქტონის ცხენებთან ე. ი. ახალ ამერიკის ზანგესაც გადაუწყვიტეს 24 საათის მაგიერ, 12 საათის სამუშაო. გადაწყვეტილება ერთხმიანი იყო, ბევრი ტაში დაიკრა ბატონების სადიდებლათ და ბევრი რჩებიც წარმოიტქვა გაზეთებში მათდა სასახლოთ. მაგრამ, ყველა ამაზე ლაპარაკი, კრება და დისპუტები შიგ ბაქოში ხდებოდა. ამიტომ ვიდრე ბატონები იქიდან ბალახანაში ამოვიდოდნენ სულმთლათ დავიწყებით ნათქვამიც და გადაწყვეტილიც. ასე რომ, დღეს ისევ მათი ცხენები უფრო იცინიან თურმე, ვიდრე შემოხსენებული „კანტორჩიკები“, რომელნიც მიუხედავად დიდი აურ-ზაურისა, დიდის ზარისა და ზემისა ისევ ისე გადიან ალოს 24 საათში, როგორც დასაბამიდან ბალახანის აღმოცენება! ვაი, რჩებო, ვაი კრებებო, ვაი „კანტორჩიკებო“ და უი, შენ ქალაქო, რომელიც ითმენ ყოველსავე, რასაც კი აღნიშნავენ პირსა შენსა ზედა სათხათ სულისა თვისისა და დასაფიწყებლათ გულისა თვისისა და ჩასაბარებლათ არხვისა შინა მივიწყებისასა.

რახან ცხენებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემოძლიან არ გაეცხენო ერთი ნეკროლოგი, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ დღეებში ვახ. „ნოვ. ობოზ.“ ერთ-ერთ №-ში. აი ეს ნიანგის ცრემლებიც: «ამ დღეებში, წერენ შემოხსენებულ გაზეთს ქუთათურები, თქვენი ქირი წაიღო ვინმე ესრეთ წოდებულ ხუთას მანათიანმა ცხენმა, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნ ხეინოვს. მ-ზეზი აქაური თვითმართველობა, ვინაიდგან არც ერთ ქუთაზე არ არის აღნიშნული თუ სად უფრო ადვილათ შეუძლია ცხენს გავიდეს ფონს და არ წაიმტვრიოს კისერი, რომელსაზე ხევ-ხუვევებოო“. ჩანს ქუთაისელები ჰაერში დაფრინავენ, რომ ზედ შერჩენიან აქნობამდე კისერიცა და ფეხებიც, თორე თუ კი ხუთას მანათიანი ცხენები იმტვრევენ იქაურ ქუჩებზე კისერს, რაღა ითქმის იმ „ჯაგლაგებზე“, რომლებითაც საესვა დღეს ქუთაისი!

ბედნიერია ამ შემთხვევაში ქ. სიღნაღი, ე. ი. ბედნიერია იქაური ქალაქის სამამსახლისო. იქაც მოუტყენია წარსულ კვირას რამდენსამე ადამიანს კისერი, მაგრამ ამაში ისეთი საგანია დამნაშავე, რომელსაც ათასი როზგიც რო მიარტყა არც ორცს მიწვდება და არც სულს. ეს დამნაშავენი იქაური სახლების ბალკონები გახლან თურმე. შედგებით თუ არა ზედ ისინი მაშინათვე ძირს ქუჩაზე მოგასერიებენ და თუ სული მაინც ჩამოგყვით, ვიდრე ღვდელი მოგასწორობთ, დიდი მადლობა უნდა შეუთვალეთ სახლის პატრონს. წარსულ კვირას ასე გადმოჩენილა ქუჩაზე სიღნაღის სამი ბალკონი და ჩამოუტანია ქვებზე რამდენიმე დამტვრეული თავი მცხოვრებლებისა. საწყალი სიღნაღი! არ იბრალებს მას წერაქვი და თითონვე მოუხდომებია მიადწიოს მიზანს ე. ი. განისვენოს

წილისა შინა აბრაამისასა. ნუ, ნუ შეუშლით ხელს, სიღნაღელებო მაგვარ თავგანწირვას, ვინაიდგან „სჯობს სიკაცებლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მაგრამ მარტო „დრამა-ტრაგედია“ სიღნაღელები. მათ კომედიებიც ცოდნათ, და აი წარსულ კვირებში სომეხ სცენის მოყვარეთ გაუმართავთ წარმოდგენა ქართულსა და სომხურს ენაზე. სიღნაღელებიც წასულან „თამაშის“ საყურებლათ, მაგრამ ვაი ამ წასვლას, ვერც ერთს იმათგანს ვერ მიუტანია სახლში ამბავი სად იყო, რომელ ქვეყანას და ან რა მოიხილა. საქმე იმაში გახლავთ, რომ თუმცა მომეტებული ნაწილი სიღნაღის მცხოვრებლებისა სომეხები არიან, მაგრამ სომხურზე ძლიერ გაბუტულან და ორი სამი დამტვრეული „ინჩის“ მეტი მათ არა გაეგებათ რა. ამიტომ ვერც არა სომხური წარმოდგენისა გაუგიათ საქმე. ვერ გაუგიათ აგრეთვე ქართულიც, და ამაში კი დამნაშავენი თვით არტისტები ყოფილან, რომელთაც რამდენათაც ღრმა სომხური ცოდნით, იმდენათ თხელი ქართული. არეულა მონასტერი. სომხურში ტყუოდა მაყურებელი, ქართულში კა არტისტი, ეს ყველაფერი ნარობარში გამოსულა, მაგრამ ის კი ვერ გამოსულა კარგათ, რომ თეატრიდან დაბრუნებისას სიღნაღელები ერთმანეთს ეუბნებოდნენ თურმე:

„ვა! ასე ახლო ყოფილა ის ოხერი ჩინეთი და რატომ არ ვიცოდითო“.

ნუ თუ სიღნაღში ორიოდე ქართველი მაინც არ მოიპოვება, რომ ქართული ლაპარაკი შეეძლოს და სცენაზედაც სცადოს ეს გმირობა?!

ქურნალ-გაზეთებიდან.

ამ უკანასკნელ წლებში ქართველებს ერთი მეგობარი გამოგვიჩნდა, რომელიც მწერლობს „H. ობ.“-ს ფურცლებზე და საზოგადოთ, მართალი უნდა ვთქვათ, ყურადღებით და თანაგრძნობით ეკიდება ჩვენ საქმეებს, რამდენათაც ყურათღება და ვაგება შეუძლია. მისი სახელი მწერლობაში არის „ომ.“, თუმცა ომისა და ბრძოლის თავი არა აქვს და ისე ზერეღეთ ეხება ყოველ კითხვას და მოვლენას და ამ ბოლო ხანებში უფრო ქუთაისის თეატრის რეპარტორის თანამდებობას ასრულებს. მაინც, ცოტა რაი წაუკითხავს, გაუგონია, და იცის რომ ადამიანი ადამიანის მკამელი არ უნდა იყოს, ისე როგორც ერთ ერის; იცის, რომ ადვილობრივი საქმეების გამგეობა უკეთ ადგილობრივ მკვიდრთ შეუძლიათ და სხვა ამისთანები. და რადგან ჩვენ დროში უკხოთავან ასეთი აზრის გაგონება იშვიათია, იკი ცოტათ თუ ბევრათ მაინც სასარგებლო კაცია. მართალია, ჩვენ ყველაფერში ვადმეტება ვიცით, ყველაზე მეტათ კი ქუთათურებმა, და ამიტომ ეს, მგონი, გააღმერთეს კიდევ. მაგრამ არც ამის წინააღმდეგი გვექნებოდა არაფერი (რადგან ყველა თავს შეაფერ სათაყვანო საჯანს ირჩევს, ხოლო ბ. ომს ეს კიდევ უფრო წახალისებდა, და მეტი სიამოვნებით ამოაღებინებდა ნაკებს), რომ ამ წახალისებას მისი გათამაშება არ მოყულოდა. აი ეს არის საქუჩარო და ამის ნიშნებს გვაძლევს „H. ობ.“-ის № 5949-ში მოთავსებული მისი შენიშვნა ქუთაისის სააზნაურო სკოლის განახლებულ კომიტეტზე. ის ბრძანებს: ქუთაისის განახლებულ კომიტეტში შევიდა რამდენიმე ახალი პირი, რომელთაც თავისი მოღვაწეობის დასაწყისი მით აღნიშნეს, რომ ძველ წევრებს შეეკითხნენ: რა აკეთეთო?

აი, ეს კითხვა მიაჩნია ამ «გამოჩენილ» პუბლიცისტს „უადგილოთ“, «ორ აზროვანათ» და ირონიათ», და ამას გამოუწვევია მ-სი გულისწყრომა, ამას უსაყვედურებს ახალ წევრებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ. ომს, რომ თვით მიეცა

ეს კითხვა ძველი წევრებისათვის და გაეგო ნამდვილი, რა აკეთეს და როგორ, მისი პატარა ქუთაჯ მიხედვით, რომ ირონიაც და დაცინვაც სწორეთ სამართლიანი და მართებული ყოფილა, თუ კი ჰქონდა მათ ადგილი, თუმც მის სიტყვას წერ დავენდობით, რადგან ვიცით რა წყაროებიდან კრებს იგი ცნობებს; ვიცით, რომ ჩვენ საქმეებში მისი აზრის მიმმართველი და ვადამქრელი არის ერთი ქუთაისის ყოფილი ოპოზიციის ინტელიგენტობის საზღვარზე მდგომი წევრი. ბ. ომს უნდა, რომ ადგილობრივი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს დაუმეგობრდეს, მისი აზრების და სურვილების გამოთქმელი იყოს და მით შეიქნეს «*пріятнымъ во всѣхъ отношеніяхъ*». გაუგონია, რომ ეს საუკეთესო ნაწილი არის ქუთათური ინტელიგენტობის მონობოლისტი ინტელიგენტები და მათ ხმაზე თამაშობს მულამ დავლურის ამ *пріятності*-ობის ძებნაში ის კი დაავიწყდა, რომ არაფერ არის ქვეყნათ უნაკლო და არც ქუთაისის ინტელიგენტებია ასეთი; დაავიწყდა, რომ შესაძლებელია იმათაც მოსვლოდათ რაიმე შეცდომა და სწორეთ ასეთი შეცდომა, თუ მეტი არა, არის თავიდან ბოლომდე მათი საშეკლო კომიტეტში მოღვაწეობა. მიხედვით კიდევ, გვგონია, ამას რომ საქმე გაეცნო ამ, ქუთაისში დიდ ვინმეთ ქცეულ პაიკს, და მაშინ არც პატივცემულ გახეთს შეიყვანდა იმ შეცდომაში და აზრთა წინააღმდეგობაში, როგორსაც დღეს წარმოადგენს მისი შენიშვნა «*Н. Об.*» ფურცლებზე, რომლის ჩვენი საქმეების კარგათ მკოდნე მექრონიკე ისე სამართლიანათ დაგმო ძველი გამგეობა წ. კ. საზოგადოებისა და მათთან მისი ჰირმო-ქუთაისის კომიტეტი. ჩვენთვის მეტათ სასიამოვნოა, რომ ასე მართებულათ დაუწყიათ მუშაობა ახალ-წევრებს. ყოველი ახალგაზდა რომელსაც სურს საქმე გააკეთოს ვალდებულია, უწინარეს ყოვლისა გაიგოს, თუ რა უკეთებია მის წინამოადგილეთ, და მათი შეცდომების გათვალისწინებით იცილოს ეს არა სასურველი გამეორება. მხოლოთ წინა მოადგილეთა მოქმედების კრიტიკით შეიძლებოდა საქმის დაწყება და ასეც მოქცეულან ახალი წევრები. სხვა არა იყოს რა მართთვის საჭირო იცოდნენ ვისთან აქეთ საქმე და მათი მოქმედების გათვალისწინება მართა ამისთვის იყო საჭირო, ხოლო ბ. ომის სიტუტუცე იმაში მდგომარეობს, რომ ის საქმის გაუცნობლათ, სხვისი გადმოცემით კანდიდრება და ზედავს პრესაში საყვედურების გამოთქმას. ან რომელი ახალი წევრი იქნება ისეთი კომიტეტში რომ „ომ“-ზე მეტათ და არ ცემდეს პატივს იმ ძველ წევრებს, მისი დარბგება სჭირდებოდეს იმ საქმეში, რომლის შესახებ, თავისუფლათ შეგვიძლია ვთქვათ, თვით ბ. «ომი» *ЖИТЬ ВЪ ЛѢСУ*.

ცოტა კიდევ ბ. ომ-ის შენიშვნაზე ბანკის კრების შესახებ, რომელსაც გონია რომ რწმუნებულებმა საქმესთან გაუცნობლობის მიზეზით გადაწყვიტეს ისეთი სიჩქარით წამოყენებული კითხვები. სრულიად სამართლიანათ შენიშნავს „*ცნ. ფ.*“-ის კორესპონდენტი (იხ. 29 იანვრის №), რომ ყველა კითხვები დიდი ხანია გამორკვეული ჩვენი საზოგადოებისთვის და მით უმეტეს ბანკის რწმუნებულთათვის და თუ ასეა რაღა საჭირო იყო სიტყვა გაეგმელებია, ელაცბათ რითაც თავი მოგვაბეზრა ქუთაისის ბანკმა. სასიამოვნოა რომ ახალ თავმჯდომარეს იგივე კითხვები წამოუყენებია, რომელსაც მეტი დიდი მნიშვნელობა აქვს, ქუთაისის ბანკისთვის და მათი გადაწყვეტაც ისე დაუნახავს საჭიროთ, როგორც წინანდელ კრებებს და რწმუნებულთ მადლობის მეტი არაფერი დარჩენიათ სათქმელი. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ ამ ვაჟბატონს, რომ საჭიროა ჯერ საქმის გაცნობა და მერე წერა. შეიძლება მან ისიც არ იცის, რომ სწორეთ იგივე რწმუნებულნი იყვენ, რომელთაც უკანასკნელ კრებაზე (1899 წ.) გადაწყვიტეს იმავე შუამდგომლობათ აღძვრა?

ოფიციალურ გაზ. „კავკასში“ დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია ქ. ბათომიდან:

„ამ წამდენსაზე დღის წესეთ, იწერება კორესპონდენცია ტშილდის ნავთის ქარხანაში მოსდა მესამე რეპრეზენტაციის მხსენებელი იყო ისევე ქარხანისავე მუშა. აი ის გარემოება, რომლის შედეგად იყო ის საში უბედური შემთხვევა და რომელნიც მე თვით შევისწავლე ადგილობრივ. საქმე იმაშია, რომ ქარხნიდან ნავთის უუთები გადაქეთ ნავთისადგურამდე ცხენის გავრებით დასაცემით გეშებს. გავიხსნ რომელითც მიაქეთ ეს უუთები მისდაქს თან ორი მუშა, ერთი მათგანი მიუძღვის ცხენს წინ, ხოლო მეორე კი მადის ცხენისა და გავიხსნ შეა, რომ დაუხსლოვდება თუ ანა დანიშნულ ადგილს იფიცლავ აუშვას ცხენი გავიხსნ, რომელს შემდეგ ვეგონი ინერციით თვითონ მიგორავს. ამ აშუკების დროს სავაზონისა წინამოადგილს ან წაიჭეს ცხენი, ან თვითონ მუშა რომ ეს უკანასკნელი მოჭეკვს გავიხსნ ქვე და განუტეკოს სული. უკანასკნელ ამ დღეებში მომსდარი შემთხვევა, თუმცა სიკვდილით ან გათავებულა მკვრამ დასასინსებათ კა მან დასასინსდა გავიხსნ ქვეშ მოყოლილი მუშა.

საქმე ის არის, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევაც რაკორც წინანდელა ორი ერთსა და იმავე გარემოების მაზეზით მოსდა და ამიტომ უკვლევის მათ უკედ დეკრთვის კადეგ წამდენზე თუ მომაჯალში მანც ქარხანამ ან შეცვალა წესი ნავთის უუთების გადასაცნათ.

როტშილდის ნავთის ქარხანას ან გაუჭირდება შეიძინოს ნავთის უუთების საზიდათ აკტომობილი, მაშასადამე აქ ზირდაზირი დაუდევრობაა ქარხნის საქმისადმი კი ანა... ანამედ თვით მუშის სიცოცხლისა და მის უზრუნველ ყოფისა სიკვდილისაგან.

ქართული თეატრი.

შექსპირის საღამო.

26 იანვარს ქართულმა თეატრმა იდეუსისწავლა შექსპირის ჭამლეტის 300 წლის თავი დღიდან მისი ზირველი წარმოდგენისა. წარმოდგენეს „ჭამლეტი“ ბ. ვლ. შესნიშვალის მანწილეობით და წარმოდგენის შემდეგ გაიმართა „ანთეოზი“.

დიდი მადლობის დიხსი იქნებოდენ ქართული თეატრის მეთაურნი ამ საღამოს გამართვისთვის, რომ რაკიანათ მოეწყოთ იგი და დიდებული შექსპირის სული ტუეილ-უმრალათ ან შეეწუხებიათ. სიმწუხაროთ, არც წარმოდგენა და არც ანთეოზი შექსპირისას არაფერს მოგვაგებებდა, კარდა მისი ბიუსტისა.


თვით შესნიშვლიც სუსტი იყო, არც რადის ცოდნა ეტეობდა და მეტათ თავისუფლათ, რომ არ ვთქვათ უდიერათ, მანურთობდა უკვდავ დრამატურგს. მანც საზოგადოება ისევე შესნიშვლიზე ისვენებდა და შიშის კახალი მოდიოდა, რაცა სხვა მათამაშეთაგანი ვინმე მარტა დარჩებოდა სცენაზე.

სამწუხაროა ამნარათ შექსპირის ზიესების წარმოდგენა და თუ ძალეები არა გევაგს, ჯობს ისევე თავი დავანებოთ დიდ ზრეტენზიებს, და კარიკატურამდი ნუ მთავივანთ საქმეს, ნუ შეურაცხვეოთ დიდებული შწერლის სსოფნას.

ანთეოზისათც ვერ დაგრჩით გამყოფილი. ბ. გუნისა შექსპირი უფრო კარგათ და ვრცლათ გაეცნო შექსპირის შემოქმედების განვითარების და მის ნაწარმოებთა გავრცელების ისტორია. ხოლო თვით ჭამლეტზე კადეგ უფრო დაწვრილებით შეხერება, მკვრამ ეტეობა ან უშრამია და მთელ მის სიტუვამი სანტურესო იყო მხალათ შექსპირის ქართულ ენაზე თარგმნის შესახები ცნობები.

რაც შეეხება შექსპირის დექსით ქების შემსხმელთ, ისინი სრულიად არ ვარგოდენ. მსურებელი საზოგადოება უფრო სკანდალს მოელოდა, აი რადის შეუწედათ კითხვა.

შექსპირ კი დრამტიული საზოგადოების გამკეობას წარმოდგე-



ნის დაწვლასი ახლოფობით მაინც შევესო, მაგრამ ისიც არ მოკიდებია სერიოზულად საქმეს.

ერთი სიტყვით, შექმნილის სადამამ მიზანს ვერ მიახწია, თუ იგი მარტო კომერციული არ იყო. ხალხი კი ბლბლით დაესწრო.

წარსულ ხუთშაბათს სვიმონიძის საბუნებისათ წარმოადგინეს ნ მოქმედებანი დრამა «სოფლის წარდგნა» ზუღერმახიას. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა მსახიობებმა ერთობ დაამახინჯეს ეს საუცხოო ნაწარმოები. სურტი იყო თვით მომხიფიფისე ბ-ნი სვიმონიძე. ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო. მომხიფიფისეს წამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

წერილები რედაქციის მიმართ.

I.

ბატონო რედაქტორო! გასოკოთ ეს შენიშვნა მოათავსოთ „კვალის“ უმანდობელს ნომერში. ამ სამი წლის წინეთ და შედეგად სურების ორჯალისანა შოკლის მზრუნველთ იმყოფებოდა ბ. ირაკლი ივანეს ძე რამიშიელი. მასვე ჰონდა მინდობილი სემოლო შენობის აგება, სოფლის მიერ მიცემული გეგმის თანხმით. შოკლი აშენდა, მაგრამ სოფელსა და ბ. ირ. რამიშიელს შუა ანგარიშის შესახებ უთანხმოება ჩამოკარდა. სამი წელიწადი გადის მას შემდეგ და სწორად ანგარიში მაინც ვერ გავიკეთ. ამ საქმეზე ორჯულ დაინიშნა სამედიცინო სამართალი, მაგრამ ვერც ერთმა თავის მიზანს ვერ მიაღწია. უკანასკნელ სამედიცინო სამართალში სოფლის მსწრით არჩეულ იქნა მღ. ლ. წყლადი. ბ. ირ. რამიშიელის მსწრით მღ. გ. ტრახიძე სოლო თავიჯდომასზე ბლბლობ. მღ. ს. ცინცაძე. მას აქეთ ერთი წელი და მედიცინოები კი არას ამბობენ. ჩვენ ჩვეთისებოთ ესლს მედიცინოებს და ატრუვე ვეგლს იმით, ვინც ამ საქმეში ურკვია: რა მიზეზია, რომ ასე გაჰხიზნა საქმე?

ბ. ირ. რამიშიელისაგან სმწრით გავიკეთონა სეკედეირი, თუ რატომ „მიგვიცდეს ასე საქმე“. რაკი თითონ ირაკლი რამიშიელი ასე წესს, მამ მიზეზი თვით მედიცინოებში უნდა ვეძაოთ. ჩვენ დაწმუნებულა ვარს, რომ რამიშიელი გახეთის საშალბით მედიცინოება აგვასინიან ამ მიზეზს. მოუთმინლათ მოკვლით.

ნოე იოსების ძერამიშიელი.

II.

გასული წლის 22 ნოემბერს მიმითის უფასო წიგნთ-საცავ-სამკათსველი, არსებული მიმითის ორკლასიან სემინისტრო სკოლასთან, წვერთა გზებან სმას უქეტესობით გადატანილ იქნა ამავე სოფლის ერთკლასიან სკოლასთან. რადგანც ვრებამ სესენებელ სამკათსველს ახალი წიგნები შეძანა, ახალ პირობებში ჩაეყინა იგი და ბერძენ დაიტოვეს მისი წარსულით და მომავლით, უჩივო არ იქნება გამეტე გამოაცხადოს გახეთის საშალბით, თუ რა სა-მსახურები მიუძღვის სამკათსველსადმი, როგორც თვით მის, აგრეთვე დამარსებელ: ვიცოდეთ, რამდენი წიგნი შეიძინა სამკათსველამ მათ სელმა თავის 4 - 5 წლის არსებობის წინაში, ვისგან და რამდენი მიიღო შეწირულება ფულათ, თუ წიგნებით და რა შეძლება აქვს მას ესლს. ანგარიშის საბუთი სამკათსველსა გადაცენ, რათა ჩვენ წიგნებიც დავწმუნდეთ მის სინამდვილეში.

წერობაგანი.

III.

ქნო რედაქტორო! ნება გვიბოძოთ თქვენი პეტევირული გა-ხეთ „კვალის“ საშალბით უდრების მიდლობა გამოკუცხადო ვნენი პულაგია მიქელაძის ბერძის ასულს და ქ-ბონ პამ იოსე-ლიანისა, რომლებმაც გასართეს ჩემს სასარგებლო წარმოდგენა. ფოთში, სადაც წმინდა შემოსავალი დარჩა 121 მ. 12 კ. რომელიც უნავლულით მივიღე; მიდლობას ვუცხადებ ატრუვი თ-დ ანტონ ბატონის ძე მიქელაძის და ნოე უდენტის, რომლებიც მსურ-ვალე მონაწილეობას აღებლობდენ, და ატრუვე ვეგლს იმით, რომ-ლებმაც წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა.

მოსწავლე დ. ფალავა.

IV.

ქნო რედაქტორო! ნება გვიბოძოთ თქვენი პეტევირული გა-ხეთ „კვალის“ საშალბით, გაუწეთ დ. ხოსტატურას სამკათსველს წიგნებს და ატრუვე აქურ ცენტალიგენტოს წესს, რომელიც სე-წიგნთ-საცავ-სამკათსველსა ან განკუებ, ვინაიდან სამკათსველს სა-მიერ ამონჩვეულ პირებს სარეგიზიო კომისიას, სამკათსველს სა-ქმეები ჩემთვის არ ჩაუბარებოთ და ვერც ჩამბარებენ, რადგანც ძველმა გაძარი ბ. კონსტანტინე მეგელაძემ და მასმა სახინადრმა ალექსი სინჩუელაძემ, სამკათსველს საწარმოებელი საქმეები და ეისი გამგებობა სელიდან ან გაუშვეს და კომისიას არ მიცენ სა-უალება ანგარიშის გასაცავით, სამკათსველსა და ცხატკბა... სერაპი. ნ. კონსტანტინეს ძე რამიშიელი.

V.

ქნო რედაქტორო! უმონხალესით გთხოვთ საშალბა მო-ცეოთ პასუხი გვრე თქენა გახეთის საშალბით ბ. რეისპირელს სოფ. ბასვიდან მოწერილ კორესპონდენციასე, რომელიც დასტო-მბულდა „კვალის“ 40 №-ში და შეეხება მე.

ბ. რეისპირელი თავის წერილში ამბობს: „წელიწად-ხანა-გეგმაზე მეტი, რაც ეს სიდი (რომლის გვითობის საქმე მე მაქვს ონდობილი) დამთავრებული არისო“. მე მოვასახენებ მას, რომ სი-დი დღესაც არ არის დამთავრებული: მას ავლია ქვეშ ჩემნტიოთ გა-მოაქვას, მოაკრიბოს მოყვლება და ხვეშის მოყრა ზემოდან. მე-მდეგ ატორი განცემობს: „ეტუობა ეს ჩენი თე-ნაკვავი სიდი ადრე თუ გვიან (!!) ჩამილება“. ვკან და ახი წლის შემდეგ სიდი ჩამილება თუ არა, ამისი თქმა ამ უმით ყოვლად შეუძლე-ბელია, სოლო ადრე რომ მას არავერი გაუქინდება, თუ გიცის ბოროტი ხელისგან არ დოიანდა, ამას ვეგლს ხელაქ, ვისაც კი ეს სიდი უნასავს. — მეჩე ატორი ბრძანებს: «საქმე ის არის, რომ დღემდის ამ საქმეზე მომსდარე ხარჯის ანგარიში არ მიგვიღია, თემცა მცხოვრებლებისგან ხკედრი ფული უკვე შეკრებილია და ჩა-ბარებულია», მე კი მოვასახენებ ბ. რეისპირელს, რომ სიდიც გა-საკეთებელი ხკედრი ფული დღემდის არ გადაუხდით შედეგ ბ-რებს, როგორც ამის ამტკიცებს აქვე წარმოდგენილი მოწმობა: და-გილობრივი მამასახლისისა: ბატონთ ალექსინდრე და ფილიპე ბე-ტუსს ძე მეგელაძებს არ გადაუხდით მათზე შეწერილი ხკედრი ფუ-ლი **) 4 მან. და 90 კაპ., გოვტო ჩიტშიელს — 1 მ. 30 კა., ახლონ დოლიძეს — 25 კაპ., დიომიდე ანდელაძეს — 1 მ. და 50 კაპ., მიხილ ალექსინდრეს ძე ჰელიძეს — 2 მ. 40 კაპ. რაც შეეს-ბამ იმ კერძო პირობებთან შემოწირულებებისათვის მიდლობის დაგვი-ენებას, რომელსედეც ასე გულ მტკიანეულად ბ. კორესპონდენტი, ს გამაიწვია სიდიც მოუთავრებლობამ და ანგარიშის შეუდგენლო-ბამ; სოლო სიდიც მოუთავრებლობა, როგორც უთუოთ კორესპონ-დენტისც გარვათ იცის, გამოწვევილი არის იმ უბედურა გარემო-ების გამო, რომ პირველი მოაჯარადრე ამ სიდიც გვეთებისა მარ-ცხათ მოკლეულ იქნა, რის გამოც გვეთება მეორე მოაჯარადრეს მიხდო, რომელსაც აქამდის ვერ მოუთავრებია იგი და ვერ ჩაუბარ-ებია ჩვენთვის.

ამ ხინათ, როგორც ხელაქო, ბ. რეისპირელის მიერ ჩემდა-მო მომართული ასე ჩასრეთ გამოთქმული ჩანკელ უსაფუძვლო სი-ტყვებზე აგებული ბრალდ ბ-ნი სრულიად მოკლებულია უოველისავე სიმართლეს.

პატრვისცეოთ დავშთები იავორ ჭელიძე.

შეცდომის განწოდება.

„მე-5 №-ში წერილს „სიტყვაგანხული მწერლობა 1901 წელს“ მოწერილი აქვს კ. გოგოლაძე, ნაცვლათ ი. გომაროთელისა. რე-დაქცია ბოდიშს ახლის ორივე პეტევირული თანამშრომელთა წინაშე მათი გვარების არვისათვის, რაც გამოიწვია წერილის ნახარვეთო

*) ამ წერილის დასტავება უადგილობის გამო დავვიანდა რედ.

***) ამ ციფრებს ატორს უმაწმებს ბახვის მამასახლისი. დერ.

სწობამ რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიხედვით გამო და ამიტომ მისმა უკარგეტუროთ დასტამბავს.

იმავე №-ში, გვერდი 81, მწკარი 15 ზეგადან, (კორესხ. ბათომიდან), დასტამბულია: «არ ეოფილა კითხვა დასტამბული» უნდა იყოს: — — — დაყენებული»

«კვალს» ფოსტა.

არ იბეჭდება ლექსები: „მეუბნებთან“, „ლექსი რაჭაზე“. ელიან-ჯორბენაძეს. თქვენი ლექსი ვერ დაიბეჭდება. მთვალესურს. «იუბილეის» ვერ ვბეჭდავთ. რედაქციამ მანერ უნდა იცოდეს ვის ეხებით.

ბაქოში მკერვალიშვილს. თქვენი მადლობის წერილი რედაქციების მიმართ არ დაიბეჭდება, რადგან, დაწმუნებული ვართ, ჩვენთან ერთად სხვა რედაქციებზეც ნანახენ, რომ თქვენისთანა გმირს ხელი გაუმართეს თავიანთ გამტყუმათა უფასოთ თუ ფას-დაკლებით გზავნიო.

სოფლის მსწავლებელთა და უფასო სამკითხველთა კახეთი ეთმობათ შვიდ მასათათ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო სამკურნალო

ა. გელვანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა დიღით:

- კ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ. მისიკლ გელვანიშვილი - ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- კ. გ. ფედოროვი — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- გ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. ღ ხუთშ. 10—11.
- ნ. ა. მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. პ. ასალაშვილი — კბილის სნეულეზანი, 10—12.
- კ. მ. გელიანიშვილი — შინაგ. და ბავშვ. 11—12.
- კეკელიძე მ. ს. ბაქრაძე — ბავშვებისა, 11—12.
- დ. ა. გელვანიშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულეზანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. ვიანო — ქირურგიული, ორშაბათობით ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.
- ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარ-დესი, 1 1/2—2.

ს ა დ ა მ ო თ ი:

- ი. ნ. თუმანიშვილი - დედათა სნეულეზანი, 5—6.
- ი. გ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კვირათობით:

- კ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ დამობით კქიუმბის მორიგობას, ღამის 9 საათიდან დიღის 7 საათამდე. მსურველთა შეუძლიანთ სასლშიაღ წაი-ყვანონ. (წლ.)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ

(Четвертый годъ издания)

на еженедѣльную газету

П Р А В О

выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена и Н. И. Лазаревскаго и при ближайшемъ участіи Г. В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Каминка, В. Д. Набокова и проф. Л. И. Петражицкаго, по прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеніи: Сборникъ рѣшеній кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правительствующаго Сената и „Законодательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ помѣщены всѣ опубликованныя въ 1902 г. общія узаконенія, подлежащія внесенію въ Сводъ Законовъ, и тѣ казны Пр. Сената и административныя распоряженія, которые представляютъ существенное значеніе для разъясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Право“ безплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3 хъ) на юридическіе вопросы.

Въ „Правѣ“ помѣстили статьи слѣдующія лица:

- Б. К. Арсеньевъ, сенаторъ А. Л. Боровиковскій, проф. Берлинскаго ун. В. Г. Борткевичъ пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Вербловскій, М. М. Винаверъ, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гантоверъ, М. И. Гафманъ, В. Л. Глинка, проф. А. Х. Гельмстенъ, прив.-доц. М. Б. Горенбергъ, Я. К. Городыскій, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, Гр. А. Джаншиевъ, проф. Н. Л. Дювернуа, В. Б. Ельяшевичъ, проф. А. А. Жижиленко, проф. Ф. Ф. Зѣлинскій, проф. И. А. Ивановскій, сенаторъ А. Θ Кони, проф. В. Д. Кузьминъ, Караваевъ, Д. А. Левинъ, проф. К. М. Леонтьевъ, Д. Д. Лобановъ, М. А. Лозина-Лозинскій, В. О. Люстихъ, Н. А. Мандельштамъ, прив.-доц. Г. В. Михайловскій, проф. С. А. Муромцевъ, М. И. Мышь, В. А. Мякотинъ, проф. Берлинскаго ун. Dr. Oertmann, Ф. И. Осецкій, пр.-доц. М. Я. Пергаментъ, О. Я. Пергаментъ, пр.-доц. А. А. Пилецко, П. А. Потѣхинъ, И. М. Рабиновичъ, Θ. И. Родичевъ, прив. доц. Н. Н. Розинъ, М. И. Свѣшниковъ, В. И. Семеновскій, В. Д. Спасовичъ, Сенаторъ Н. С. Таганцевъ, Е. Н. Тарновскій, И. М. Тютрюмовъ, прив.-доц. В. М. Устиновъ, проф. И. Я. Фойницкій, В. В. Хижняковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, прив. доц. Б. В. Шавровъ, прив.-доц. Л. В. Шаландъ, Г. Шатровъ, проф. Г. Ф. Шершеневичъ, Гр. И. Шрейдеръ, И. Г. Щегловитовъ и др.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебно административною практикою а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципиальный интересъ, причеиъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г., въ „Правѣ“ помѣщаются немедленно отчеты о всѣхъ дѣлахъ, рассмотрѣнныхъ въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сната

Подписная цѣна: на годъ съ доставкой и пересылкою 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 р. и къ 1 мая 3 р. Заграницу на годъ — 10 руб. Отдѣльные нумера продаются по 20 к.

Главная контора: С.-Петербургъ. Дмитровскій пер., № 6. 3--3

გამოვიდა და იყიდება ლექსები და პოემები ი. კვლო-შვილისა, მეორე შეესებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და აშხ. ფასი ათი შაშრი. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწესს, წიგნი დაეთმობა 25% დაკლებით. ადრესი: Редакция „Квали“ Г-ну. Хоситову.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანისა, დიდი ვანქის ქ., № 1—2.